ფონდი „სოხუმი“ FUND "SUKHUMI"

კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

UN WOMEN FUND FOR GENDER EQUALITY

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები

2013-2016

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები

ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის

აგვისტო
2016

კულტურულ-ჰუმანიტარული
ფონდი „სოხუმი“

მისამართი:

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის 6

ტელ: 27 29 02 ფაქსი: 27 13 68

ელფოსტა: womansukhumi@gmail.com

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

www.gac.fsokhumi.ge

პროექტის დირექტორი
ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი
მერი გელაშვილი

რედაქტორი
ლალი შენგელია

დიზაინი
ლია კოსტავა

ჟურნალის გამოცემას აფინანსებს გაეროს ქალთა ორგანიზაციის
გენდერული თანასწორობის ფონდი (UN WOMEN)

ჟურნალში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს
დონორი ორგანიზაციის მოსაზრებებს

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ახალი მოდელი სოციალური ცვლილებებისათვის

სამი წელი გადის.

განსაკუთრებული სამი წელი - სიახლეების, სწავლის, ინიციატივების, გაძლიერების, თანამშრომლობის.

პირველი ორი წელი პარალელურად მოქმედებდა ფონდი „სოხუმის“ ორი პროექტი. სწორედ ამ პროექტების ფარგლებში ჩამოყალიბდა გენდერული საკონსულტაციო საბჭო დასავლეთ საქართველოს 4 ქალაქში. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში - ბათუმში, ხოლო გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდის მხარდაჭერით - ქუთაისში, ოზურგეთსა და სენაკში.

სამწლიანი მუშაობა, რომელზეც ამ ჟურნალში უნდა გიამბოთ, ქუთაისში, ოზურგეთსა და სენაკში მიმდინარეობდა.

ეს იყო ფონდი „სოხუმის“ პროექტი „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“.

მუშაობა დაიწყო 2013 წლის 1 სექტემბერს და სრულდება 2016 წლის 1 სექტემბერს.

დაიწყო რთულად, წინააღმდეგობებით - რადგან ახალი გზა იყო გასაკვალავი, ახალი მოდელი - შესაქმნელი და ასამუშავებელი.

გენდერული საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შეიქმნა ქუთაისის, ოზურგეთისა და სენაკის საკრებულოებთან, არის ახალი ინსტიტუციური სტრუქტურა. საბჭოში 15-20 წევრია. შემადგენლობა ისეა შერჩეული, რომ ყოველმხრივ დაბალანსებულია:

გენდერულად - იმიტომ, რომ თითქმის თანაბრად არიან ქალები და მამაკაცები

პოლიტიკურად - იმიტომ, რომ ჩართულნი არიან ადგილობრივი თვითმმართველობის წევრები, პარტიულობის მიუხედავად

სოციალურად - საბჭოს წევრები არიან სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფიდან: დევნილები, ეთნიკური უმცირესობების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

ასაკობრივად - არიან ახალგაზრდებიც და მეტი გამოცდილების მქონე ადამიანებიც.

მუშაობის პრინციპი ასეთი იყო:

- სამივე ქალაქში ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს ადგილობრივ თვითმმართველობებთან
- ქუთაისის, ოზურგეთისა და სენაკის საკრებულოებში თვეში ერთხელ იმართებოდა საბჭოს სხდომა (ოზურგეთსა და ქუთაისში სხდომებისთვის გამოიყო სპეციალური ოთახები წარწერით „გენდერული საკონსულტაციო საბჭო“)
- თვეში ერთხელ ტარდებოდა იურისტის საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრა
- ერთ თვეს იმართებოდა ამომრჩეველ ქალთა კლუბის სხდომა, მეორე თვეს კი - საინფორმაციო შეხვედრა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფთან
- ორ თვეში ერთხელ - საინფორმაციო შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლებთან
- წელიწადში ერთხელ ტარდებოდა „ქალთა ადგილობრივი გენდერული საჭიროებების შეფასება“ და ხდებოდა საკრებულოსთვის წარსადგენი რეკომენდაციების შემუშავება
- ორჯერ ჩატარდა სამივე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გენდერული ანალიზი
- პერიოდულად ტარდებოდა ტრენინგები გენდერულ საკითხებზე
- მომზადდა გენდერულ საკითხებზე ადგილობრივ მწვრთნელთა ჯგუფები
- ეწყობოდა სატელევიზიო და რადიოგადაცემები საბჭოს წევრების მონაწილეობით
- ხორციელდებოდა პროექტები ადგილობრივი თვითმმართველობის თანადაფინანსებით
- იმართებოდა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელური შეხვედრები
- იმართებოდა შეხვედრები პარლამენტის დეპუტატებთან, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან
- წელიწადში ერთხელ გამოდიოდა ჟურნალი „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები“
- პროექტის ფარგლებში მიმდინარე ყველა აქტივობა აისახებოდა ფონდი „სოხუმის“ ვებგვერდზე www.fsokhumi.ge. სპეციალურად შეიქმნა ვებ-გვერდი www.gac.fsokhumi.ge

სამი წელი ბევრი არ არის, მაგრამ არც ისე ცოტაა შედეგების მისაღებად. პროექტის შედეგები თვალსაჩინოა:

სამი წლის მანძილზე გაიმართა საბჭოს 30-მდე სხდომა, 20-მდე ტრენინგი და ვორკშოპი. საბჭოს წევრებმა გაიღრმავეს ცოდნა გენდერულ საკითხებში, კვლევის ჩატარების, პროექტების წერის, შეხვედრების ფასილიტაციის თუ ვორკშოპების ჩატარების კუთხით.

გაიზარდა ქალი-დეპუტატების რაოდენობა სენაკის, ქუთაისის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში, ქალაქ ოზურგეთის საკრებულოში კი მიღწეულ იქნა გენდერული თანასწორობა - 15 წევრიდან 7 ქალბატონია.

ოზურგეთსა და ქუთაისში დაინიშნა მრჩევლები გენდერულ საკითხებში, სენაკში - სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილებას დაემატა გენდერული მიმართულება - ამ განყოფილებამ პარალელურად განახორციელა რამდენიმე პროექტი.

სამოქალაქო საზოგადოების და ადგილობრივი ხელისუფლების მჭიდრო ურთიერთობა საშუალებას იძლევა, მოხდეს არა მარტო საზოგადოების ფართო ინფორმირება, არამედ ოპერატიულად მიეწოდოს ადგილობრივ ხელისუფლებას ბევრი სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

ამომრჩეველ ქალთა კლუბებმა დასვეს მოსახლეობის 50-ზე მეტი აქტუალური პრობლემა, ადვოკატირების შედეგად მოაგვარეს 30-მდე პრობლემა.

მოხდა გენდერულ საკითხებზე 1000-მდე ადამიანის (დევნილები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები, ახალგაზრდები, პედაგოგები და სხვა ჯგუფები) ინფორმირება.

ქუთაისის სამი უნივერსიტეტის სტუდენტებმა შეისწავლეს გენდერის, გენდერული თანასწორობის და გენდერული ბიუჯეტის საკითხები. მათ შეიმუშავეს რეკომენდაციათა პაკეტი 2017 წლის ბიუჯეტის პროგრამებისთვის.

იურისტების დახმარებით მოგვარდა 30-მდე პრობლემა.

მომზადდა 150-ზე მეტი სატელევიზიო და რადიოსიუჟეტი, 200-ზე მეტი სტატია, 300-ზე მეტი დამატებითი მასალა.

სამჯერ განხორციელდა ადგილობრივი გენდერული საჭიროებების შეფასება, ორჯერ - ბიუჯეტების გენდერული ანალიზი, შემუშავდა რეკომენდაციები და პირველად ამ ქალაქების ისტორიაში ჩამოყალიბდა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკა.

ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანადაფინანსებით განხორციელდა 16 პროექტი. 8 - ოზურგეთში, 4 - ქუთაისში, 4 - სენაკში.

მომზადდა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის განვითარების სამოქმედო გეგმები 2014, 2015, 2016 წლებისთვის.

პირველი გენდერული ცვლილებები ბიუჯეტში ოზურგეთის თვითმმართველობამ განახორციელა პირველივე - 2014 წელს.

2015 წლის ბიუჯეტში სამივე მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულ იქნა 20-ზე მეტი გენდერული საკითხი. განსაკუთრებით გამოიკვეთა აქცენტი ოჯახში ძალადობის პრევენციასა და მსხვერპლის დახმარებაზე.

2016 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გენდერული საკითხებისთვის გამოიყო 160 ათას ლარზე მეტი, სენაკში - 162 ათასი ლარი, ხოლო ოზურგეთში: 218 ათასი ლარი გამოიყო ქალაქის ბიუჯეტში, 359 ათასი ლარი - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

2015 წლის ივლისში ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიამ გაიმარჯვა საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს კონკურსის ნომინაციაში „განსაკუთრებული აღიარება გენდერული ბიუჯეტის დანერგვისთვის". დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

აქტიურ სამოქალაქო ჯგუფებთან შეხვედრებით, ამომრჩეველ ქალთა კლუბების სისტემატიური მუშაობით, პრობლემების მედიაში გაშუქებით, გაიზარდა ადგილობრივი თვითმმართველობების ანგარიშვალდებულება და უფრო ოპერატიული რეაგირება არსებული პრობლემების გადაჭრის კუთხით.

შექმნილია გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელი და ხდება გამოცდილების გაზიარება.

მოხდა გენდერული საკონსულტაციო საბჭოების პრაქტიკის დანერგვა სხვა მუნიციპალიტეტების მასშტაბით (ოზურგეთის საბჭომ ხელი მოაწერა მემორანდუმს გურიის გუბერნიასთან).

გენდერული საკონსულტაციო საბჭოები ნამდვილად გადაიქცა შუამავალ რგოლად საზოგადოებასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის. როგორც პროექტის დასაწყისში წარმოგვედგინა და ჩავწერეთ კიდეც პრეს-რელიზში, ეს არის გაერთიანებული რესურსები, ახალი ცოდნა და უნარები, თანამშრომლობა სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის, ურთიერთპასუხისმგებლობა გენდერული თანასწორობის მისაღწევად.

პროექტის დასასრულს ქუთაისში, ოზურგეთსა და სენაკში გაიმართა კონფერენციები,

შეჯამდა გაკეთებული და ითქვა - რომ მუშაობა არ უნდა გაჩერდეს, პირიქით, ყველა მიღწევა უნდა გამყარდეს, საბჭოს წევრებმა გამოცდილება უნდა გაუზიარონ სხვა მუნიციპალიტეტებს, სადაც აწი შეიქმნება გენდერული საბჭოები. გაკვალულ გზაზე სიარული ბევრად უფრო ადვილია და მუშაობაც შედეგიანი იქნება.

და ყველაზე მთავარი - „გენდერული თანასწორობის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №18, 12.04.2010, მუხ. 100) შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

> „მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო".

ცვლილებას ხელს აწერს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, დათარიღებულია 2016 წლის 28 აპრილით.

პროექტის მოსალოდნელ შედეგებად მივიჩნევდით:

1. სამ ქალაქში შექმნილმა გენდერულმა საკონსულტაციო საბჭოებმა ხელი შეუწყვეს ადგილობრივ ბიუჯეტებსა და პროგრამებში გენდერული კომპონენტების დანერგვას

შესრულებულია? ნამდვილად შესრულებულია და იმაზე მეტი ეფექტით, ვიდრე მოველოდით (იხილეთ ზემოთ - შედეგების ჩამონათვალი)

2. ინფორმირებულმა მოქალაქეებმა სამიზნე ქალაქებში მხარი დაუჭირეს ქალთა წარმომადგენლობას და მათი როლის გაზრდას გადაწყვეტილების მიღების ადგილობრივ დონეზე.

შესრულებულია? ნამდვილად შესრულებულია - დეპუტატ ქალთა რაოდენობის გაზრდით, გენდერული საკითხების მიმართ დამოკიდებულების შეცვლით (უფრო კონკრეტულად - ამაზეცაა პასუხი ამ წერილში)

3. გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელმა ადვოკატირება გაუწია ცვლილებებს ეროვნულ სამოქმედო გეგმასა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში.

ეს არის პროექტის ყველაზე დიდი მიღწევა - გენდერული საკონსულტაციო საბჭოების ქსელმა არა მხოლოდ ადვოკატირება გაუწია, არამედ პროექტის დასრულებამდე - 2016 წლის 28 აპრილს ქვეყნის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცვლილებას კანონში მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოების შექმნის თაობაზე (ეს ამონარიდიც - იხილეთ ზემოთ).

ასე გასრულდა ნაყოფიერი სამი წელიწადი, ჩვენი ვიზიტები ოზურგეთში, სენაკსა და ქუთაისში, სატელეფონი საუბრები, ინტერნეტ-მიმოწერები, კონსულტაციები, სხდომები და ტრენინგები, შეხვედრები და ვორკშოპები, აქციები, ფორუმები და კონფერენციები, ჟურნალებისა და ბროშურების გამოცემა, უამრავი ნიუსის განთავსება საიტზე...

სიხარულთან ერთად ბოლო ყოველთვის სევდიანიცაა - ყველას მოგვენატრება აქტიური შეხვედრები, დისკუსიები, საინტერესო ადამიანებთან ურთიერთობები...

ჩვენმა ერთ-ერთმა პარტნიორმა საყვედურითაც კი გვითხრა - სიარული გვასწავლეთ, პირველი ნაბიჯების გადადგმაში დაგვეხმარეთ და ახლა უნდა მიგვატოვოთო?!

იმედს ვიტოვებთ, რომ შევძლებთ მუშაობის გაგრძელებას.

არა იმიტომ, რომ კიდევ უფრო მეტი შედეგით მოვიწონოთ თავი, იმიტომ რომ - ქალებისა და მათი ოჯახებისათვის უკეთესი გახდეს ცხოვრება ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში - უფრო უსაფრთხო და კომფორტული.

დაბოლოს, ფონდმა „სოხუმმა" გამოსცა ჟურნალის სამი ნომერი. ერთი - პირველი საპროექტო წლის ბოლოს, 2014 წელს, მეორე - 2015 წელს.

ეს არის მესამე, შემაჯამებელი ნომერი, რომელიც ასახავს სამწლიან მუშაობას. პროექტის მონაწილე ადამიანები გვიზიარებენ თავიანთ განცდებს, მოსაზრებებს, შთაბეჭდილებებს, გამოცდილებას, გვიამბობენ ცვლილებებზე...

რა თქმა უნდა, ბევრ საინტერესოს წაიკითხავს მკითხველი ამ ნომერში, მაგრამ ყველაფრის წარმოჩენა შეუძლებელია, რადგან გასული სამი წელი - სამჯერ 365 დღე მართლაც განსაკუთრებული, შედეგებით სავსე და უხვი იყო...

ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შემაჯამებელი კონფერენცია

20.07.16

ქუთაისის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ სამწლიანი მუშაობის შედეგები შეაჯამა. კონფერენციას ესწრებოდნენ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 12 ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ქუთაისის, ოზურგეთის, სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენლები.

კონფერენციაზე მომხსენებლებმა იმ ძირითად შედეგებზე გააკეთეს აქცენტი, რომლებიც სამი წლის განმავლობაში დაგროვდა. აღინიშნა, რომ საბჭომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივ დონეზე გენდერული პოლიტიკის შექმნაში - შედეგად 2016 წლის ბიუჯეტში აისახა გენდერული საკითხები.

შედეგებში მოხვდა გენდერული საკითხების აქტუალობა ადგილობრივ მედიაში, გენდერული ბიუჯეტირების მნიშვნელობა და პრიორიტეტულობა, საკონონმდებლო ცვლილებები, რაც მუნიციპალურ დონეზე გენდერული საბჭოების შექმნას გულისხმობს.

როგორც კონფერენციაზე ითქვა, საბჭოს გამოცდილება, მიღებული შედეგები კარგ საფუძველს შეუქმნის ქუთაისის მომავალ საბჭოს გენდერული მიმართულებით ეფექტური მუშაობისთვის.

კონფერენციამ მიიღო მიმართვა საქართველოს ხელისუფლების, საქართველოს პარლამენტის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიმართ.

მიმართვაში ნათქვამია:

„გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მუშაობის მანძილზე ადგილობრივ ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან პარტნიორობით იზრდება გენდერული ბიუჯეტირების დანერგვის, გენდერული მოდგომების და საგანმანათლებლო გავლენის ფორმები და მეთოდები, რაც დადებით გავლენას ახდენს საუწყებო, რეგიონალურ და მუნიციპალიტეტების ამოცანებზე“.

ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობის შეჯამება

21.07.16

გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან სამწლიანი თანამშრომლობა ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული იყო - ასეთი შეფასება გაკეთდა ოზურგეთის ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან შემაჯამებელ კონფერენციაზე.

შეხვედრას ესწრებოდნენ გუბერნიის, ადგილობრივი თვითმმართველობის, ოზურგეთის, ქუთაისისა და სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წარმომადგენლები, გურიის (ლანჩხუთისა და ჩოხატაურის) და აჭარის (შუახევის, ხულოს, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის) მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე მთავარი აქცენტი გაკეთდა ცვლილებაზე, რომელიც შევიდა კანონში გენდერული თანასწორობის შესახებ და მოიაზრებს მუნიციპალიტეტებში გენდერული საბჭოების შექმნას. ეს პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. პროექტის ფარგლებში შექმნილი საპილოტე საბჭოების მუშაობის შედეგები კი სამაგალითო უნდა იყოს სხვა მუნიციპალიტეტებისათვის.

ფონდი „სოხუმისა“ და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით, ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭო 8 პროექტს ითვლის. შეხვედრაზე გაანალიზდა პროექტების ფარგლებში მიღებული შედეგები.

ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან ხაზგასმულ იქნა საბჭოს მიერ ადგილობრივი საჭიროებების შეფასება და რეკომენდაციების შემუშავება, როგორც საყრდენი დოკუმენტი ადგილობრივი თვითმმართველობისთვის და ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის გეგმა.

25.07.16

სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სამწლიანი მუშაობის შედეგები

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი სრულდება, სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭო განაგრძობს საქმიანობას და ხელს შეუწყობს საზოგადეობრივ ინტერესებზე დაფუძნებული პოლიტიკის განხორციელებას - აღინიშნა დასკვნით კონფერენციაზე, რომელმაც შეაჯამა საბჭოს სამწლიანი მუშაობის შედეგები და მიღწევები. კონფერენციას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის პირველი პირები - საკრებულოს თავმჯდომარე და გამგებელი, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტების (აბაშა, ხობი, წალენჯიხა, მარტვილი) ხელმძღვანელები, გუბერნატორის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, ფონდი „სოხუმის“ თანამშრომლები, გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები.

გამომსვლელებმა შეაჯამეს საბჭოს სამწლიანი გამოცდილება, შეკრებილებს გაუზიარეს ინფორმაცია განხორციელებულ პროექტებზე, ადგილობრივი საჭიროებების შეფასებაზე, ამომრჩეველ ქალთა კლუბთან და ადგილობრივ მასმედიასთან თანამშრომლობაზე.

კონფერენციაზე მოწვეული მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს საქმიანობა და ხაზი გაუსვეს მისი გაგრძელების აუცილებლობას. ასეთი თვალსაჩინო გამოცდილება კი დაეხმარება მათ, ჩამოაყალიბონ თავიანთი გენდერული საბჭოები საქართველოს პარლამენტის მიერ ახლახან მიღებული შესწორებების თანახმად, რომელიც ითვალისწინებს გენდერული საბჭოების შექმნას საკრებულოებთან.

2013-2016: ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭო

საბჭოს ფორმირება და ძირითადი ამოცანების განსაზღვრა

ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭო სამი წლის შედეგებს ითვლის. თუ ისტორიას გადავფურცლავთ, კარგად გამოჩნდება დინამიკა, რომელსაც საბოლოო შედეგებამდე მივყავართ. იყო პრობლემები, ხარვეზები, რისკები, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, შედეგებიც.

ყველაფერი კი სამი წლის წინ დაიწყო. საქართველოში, განსაკუთრებით ქუთაისში პოლიტიკური თვალსაზრისით რთული სიტუაცია იყო. არასტაბილურობა განსაკუთრებით ადგილობრივი ხელისუფლების მმართველობაში შეიმჩნეოდა: ქალაქის მერები რეკორდული სისწრაფით იცვლებოდნენ. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ადგილობრივი ხელისუფლებისთვის გენდერული მიმართულებით მუშაობა საერთოდ არ მოიაზრებოდა.

ამ ფონზე ფონდი „სოხუმი“ გამოჩნდა პროექტით „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალის როლის ამაღლება რეგიონებში სოციალური ცვლილებებისათვის“.

ჯერ კიდევ საბჭოს ფორმირებამდე მთავარი გამოწვევა გამოიკვეთა - ვინ იქნებიან საბჭოს წევრები, რამდენად ახლოს იქნება მათთვის გენდერული საკითხები. მით უმეტეს, ყველაფერი მხოლოდ ენთუზიაზმზე, მოხალისეობრივად უნდა გაკეთებულიყო. თანამშრომლობის კონტურები ყველაზე ადვილად გამოიკვეთა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რადგან გენდერული მიმართულებით მუშაობა მათთვის არ იყო ახალი. პარალელურად - ინტენსიურად გრძელდებოდა კონსულტაციები სამოქალაქო აქტივისტებთან, ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებთან, ახალგაზრდებთან... ყველაზე რთული - ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის დაწყება იყო.

კონსულტაციების დასრულების შემდეგ საკრებულოს წარმომადგენლები პოზიტიურად შეხვდნენ ახალ გამოწვევას და... ჩამოყალიბდა გენდერული საბჭო 16 ადამიანის შემადგენლობით.

ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მზადყოფნა თანამშრომლობის მემორანდუმის ოფიციალური ხელისმოწერით დადასტურდა. ამ ფორმით მოხდა ხელისუფლების და არასამთავრობო სექტორის პრიორიტეტების თანხვედრა, რაც უკვე ეჭვქვეშ არ აყენებდა პროექტში გაწერილი ძირითადი მიზნების შესრულებას.

გარე ფაქტორები, პოლიტიკური ცვლილებები, რისკები

გენდერული საბჭო თავისი ფუნქციის შესრულებას შეუდგა.

ერთი წლის თავზე საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი შავგულიძე აღნიშნავდა, რომ მუშაობა ნაყოფიერად მიმდინარეობდა, რომ იკვეთებოდა გენდერული საჭიროებების ასახვა ბიუჯეტში, რაც აქამდე არ ყოფილა.

თუმცა, მალევე ახალი რისკები გამოიკვეთა. 2014 წლის 15 ივნისს საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. საკრებულოში ახალი ადამიანები მოვიდნენ. და ისევ ახალი გამოწვევა - ადგილობრივ ხელისუფლებასთან წარმატებით დაწყებული თანამშრომლობა როგორ გაგრძელდება, ან რამდენად მისაღები იქნება საბჭოს მუშაობა ახალი ხელისუფლებისთვის.

მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი, საბჭოს ხელახალი ფორმირება იყო.

ამ მიზნით დაიწყო ინტენსიური შეხვედრები, მოლაპარაკებები, პროექტის პრეზენტაცია საკრებულოს წევრებთან. საკონსულტაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ ქუთაისის გენდერული საბჭო უკვე მეორედ იწყებს ფორმირებას ახალი ადამიანებით და ახალ ხელისუფლებასთან თანამშრომლობას იგივე სტრატეგიით აგრძელებს.

თავიდანვე იყო ერთი პოზიტივი - დეპუტატებს შორის სამი ქალბატონი ორის ნაცვლად.

საბჭოს ახალი თავმჯდომარე ირმა პეტრიაშვილი დასაწყისშივე განსაკუთრებულ იმედს ამყარებს და ხმამაღლა აცხადებს, რომ ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭო საინტერესო, მოტივირებული, პროფესიონალი და გენდერულად სენსიტიური ადამიანებით არის დაკომპლექტებული. მისი თქმით, საბჭო ცოცხალი ორგანიზმია, მისი წევრები შეიძლება შეიცვალნენ, მაგრამ უცვლელია საზოგადოებრივი დაკვე-

თა, ქალების მხარდაჭერა და პოლიტიკური წინსვლა, გენდერული საჭიროებების ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში.

საბჭოს მუშაობა რამდენიმე მიმართულებით მიმდინარეობს:

- მერიასთან თანადაფინანსებით იქმნება პროექტები, რომელთა მიზანია გენდერული ასპექტების დანერგვა და ახლებური პოლიტიკის ჩამოყალიბება.

- ყოველწლიურად ტარდება გენდერული საჭიროებების შეფასება, იქმნება რეკომენდაციები და იწყება ლობირება მათ გასათვალისწინებლად ადგილობრივ ბიუჯეტში.

- საბჭო აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ მედიასთან. საბჭოს წარმომადგენლები მონაწილეობენ სატელევიზიო და რადიოგადაცემებში და პოპულარიზებას უწევენ გენდერულ საქმიანობას.

- საზოგადოება, ამომრჩეველ ქალთა კლუბებისა და სხვადასხვა გენდერულ ჯგუფთან საინფორმაციო შეხვედრების მეშვეობით გავლენას ახდენს ახალი გენდერული პოლიტიკის ფორმირებაზე.

- ქუთაისის საბჭო აქტიურად თანამშრომლობს სენაკის და ოზურგეთის გენდერულ საბჭოებთან გამოცდილების გაზიარებისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით.

თანადაფინანსებით შექმნილი გენდერული პროექტები

თანამშრომლობა ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთობლივ პროექტებს ითვალისწინებდა. თუმცა ეს ყველაფერი არც ისე მარტივი აღმოჩნდა. ამ კუთხით პრობლემები მალევე გამოიკვეთა. პირველივე ცდა, საბჭოს მიერ შემუშავებული პირველი პროექტი, რომელიც საბავშვო ბაღებში გენდერული მიმართულებით მუშაობას გულისხმობდა და ქუთაისის მერიასთან თანადაფინანსებით უნდა შექმნილიყო, წარუმატებელი აღმოჩნდა. პროექტი ვერ დაფინანსდა.

წარუმატებელი დასაწყისის მიუხედავად, ამ კუთხით მუშაობა მაინც გაგრძელდა. „ოლიმპიადა თანაბარ შესაძლებლობებს იძლევა“ - ეს იყო სასტარტო პროექტი საბჭოს ისტორიაში, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ადგილობრივ ხელისუფლებასთან რეალურ თანამშრომლობას. გაჩნდა პირველი შედეგებიც:

- ამ პროექტით მოხდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ახალი პრინციპების დანერგვა.

- პროექტის მიმდინარეობა გაშუქდა ადგილობრივი და ცენტრალური ტელევიზიებით. დაიწერა ბეჭდვით მედიაში, რამაც გაზარდა საბჭოს იმიჯი საზოგადოებაში.

- ამ პროექტით ახალი გზა გაიჭრა, რამაც გააადვილა თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან.

- გაჩნდა პერსპექტივა, რომ გენდერული მიმართულებით მუშაობა პრიორიტეტული გახდებოდა თვითმმართველობისთვის.

როგორც მოსალოდნელი იყო, პირველს მალევე მოჰყვა მეორე, არანაკლებ საინტერესო პროექტი „მოზარდთა ბანაკი - გენდერული განათლება ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის“. პროექტი მერიასთან თანადაფინანსებით განხორციელდა. ის მიზნად ისახავდა მოზარდებში გენდერული განათლების პროპაგანდას და მათ მომზადებას თანასწორუფლებიანი საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. შესაბამისი შედეგებიც მივიღეთ:

- ბანაკის მონაწილე ახალგაზრდა სპორტსმენებს ჩაუტარდათ ვორკშოპები გენდერის თემაზე. მათი დაინტერესებიდან გამომდინარე, ამ თემაზე დისკუსიები შემდგომ მათ ხუთ სკოლაში გააგრძელეს, 190 მონაწილის ჩართვით.

- პროექტმა ხელი შეუწყო სპორტის სფეროში გენდერული სტერეოტიპების შეცვლას: ბანაკის მონაწილეებიდან 5 გოგონა ჭიდაობის წრეში გაწევრიანდა, 4 - მკლავჭიდში, 4 - ძალოსნობაში.

- ბანაკის მონაწილე ბავშვები შემდგომ აქტიურად ჩაერთნენ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ 16-დღიან კამპანიაში.

- ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან მხარდაჭერა რეალურად დაფიქსირდა: ბანაკს ესტუმრა ქალაქის მერი შოთა მურღულია, საკრებულოს თავმჯდომარე დავით დვალი, საკრებულოს წევრები.

- პროექტის მიმდინარეობას თან ახლდა ადგილობრივი მასმედიის მხარდაჭერა.

ერთობლივი პროექტების გამოცდილების საფუძველზე შეიქმნა მომდევნო პროექტი: „გენდერული ასპექტების გაძლიერება ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის ფორმირებაში აქტიური ჩართვისათვის“.

სამთვიანი პროექტი გაიხსნა კონფერენციით თემაზე: გენდერული კომპონენტები ადგილობრივ ბიუჯეტში - არსებული რეალობა, პოზიტიური ცვლილებები, მომავლის პერსპექტივები.

კონფერენციის შედეგები მალევე გამოიკვეთა:

- ეს იყო ყველაზე მასშტაბური კონფერენცია 114 ადამიანის მონაწილეობით.

- კონფერენციაში მონაწილეობდნენ 17 მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აჭარის რეგიონებიდან.

- კონფერენცია მნიშვნელოვანი იყო გა-

მოცდილების გაზიარების და ინფორმაციის გაცვლის თვალსაზრისით. მიღებული გამოცდილების საკუთარ საქმიანობაში დანერგვის მიზნით, ღონისძიების დასრულებიდან რამდენიმე დღეში კონფერენციის მასალები ითხოვეს ვანის, თერჯოლის, წყალტუბოს, ხონის გენდერულმა სამსახურებმა.

- დისკუსიების დროს აღინიშნა, რომ გენდერული საბჭოების შექმნით ფონდმა „სოხუმმა“ წინ გაუსწრო საკანონმდებლო ინიციატივას ყველა მუნიციპალიტეტში გენდერული საბჭოების შექმნის შესახებ.

- დისკუსიების დროს აღინიშნა, რომ გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნით, ფონდმა „სოხუმმა“ განსაზღვრა ადგილობრივ დონეზე გენდერული თემატიკის დანერგვის ინსტიტუციური მექანიზმი და მოახდინა საკანონმდებლო ცვლილების ინიცირება ყველა მუნიციპალიტეტში გენდერული საბჭოების შექმნის შესახებ;

- კონფერენციამ გენდერული ქოლგის ქვეშ გააერთიანა დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება (ძირითადი ნაწილი), არასამთავრობო სექტორი, ქუთაისში მოქმედი სამი უნივერსიტეტის პროფესორები და სტუდენტები.

კონფერენციის შემდეგ ესტაფეტა სტუდენტებს გადაეცათ. პროექტის მთავარ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გამოვლინდა სამივე უნივერსიტეტის სტუდენტთა საჭიროებები. ამის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციათა პაკეტი, რომელიც წარედგინა ადგილობრივ ხელისუფლებას ადგილობრივ ბიუჯეტში გასათვალისწინებლად. გენდერული საბჭო ლობირებას გაუწევს იმ საკითხების მოგვარებას, რომლებსაც სტუდენტები პრიორიტეტებად მიიჩნევენ.

პარალელურად, საბჭო მუშაობს ახალ პროექტზე „გენდერული ცნობიერების ფორმირება სკოლამდელი ასაკის მოზარდებში“. თოჯინების ჩრდილების თეატრით პროექტი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვებში გენდერული ცნობიერების ფორმირებას, დაეხმარება საბავშვო ბაღების პედაგოგებსა და მშობლებს, იაზროვნონ გენდერულად, დაამსხვრიონ სტერეოტიპები და გამოიმუშაონ უნარ-ჩვევები თანასწორუფლებიანი საზოგადოების შესაქმნელად.

ადგილობრივი გენდერული საჭიროებების შეფასება

საბჭოს საქმიანობაში მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი გენდერული საჭიროებების შეფასება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფთან. ამ მუშაობამ შეკრიბა ინფორმაცია, თუ რა პრობლემები აქვთ ქალებს და სხვადასხვა ჯგუფს გენდერული კუთხით, რა არის მათთვის პრიორიტეტული.

მიღებული მონაცემების ანალიზის შედეგად შეიქმნა რეკომენდაციათა პაკეტი. კვლევების შედეგად მიღებული მონაცემები გახდა საფუძველი ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის შესაქმნელად, რაც ადგილობრივ ხელისუფლებას წარედგინა 2016 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.

ქუთაისის ადგილობრივმა ხელისუფლებამ სერიოზული პასუხისმგებლობა აიღო: რეკომენდაციების დიდი ნაწილი ადგილობრივ ბიუჯეტში აისახა. მათ შორისაა: საგანმანათლებლო ტრენინგები გენდერულ საკითხებზე, ჯანდაცვისა და სოციალურ სერვისებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ახალგაზრდული პროგრამების მხარდაჭერა, ტელეგადაცემები, სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ქალების დახმარება, საზოგადოებაში შშმ პირების ინტეგრირების პროგრამა - ეს საკითხები პირდაპირ პასუხობს საზოგადოებაში გენდერული კუთხით არსებულ საჭიროებებს.

ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის რეალური შედეგია ის, რომ პირველად, ქუთაისის სინამდვილეში, ადგილობრივ ბიუჯეტში გაჩნდა ტერმინი „გენდერი“.

რეკომენდაციების პრიორიტეტებში მოხვდა გენდერული თანაშემწის ინსტიტუტის შექმნა ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ადგილობრივი ხელისუფლება პოზიტიურად შეხვდა ამ ინიციატივას. ფიქრია ხაჭაპურიძე ქალაქის მერის თანაშემწედ დაინიშნა გენდერულ საკითხებში. ამან მნიშვნელოვნად გააუმჯობესა კომუნიკაციის ხარისხი გენდერულ საბჭოსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, ხელი შეუწყო გენდერული პოლიტიკის ფორმირებას ადგილობრივ დონეზე.

ქუთაისის 2016 წლის ბიუჯეტი გენდერულად ბევრად უფრო სენსიტიურია, ვიდრე წინა წლებში, რაც ერთობლივი მუშაობის შედეგია.

მედიასთან თანამშრომლობა

სამწლიანი მუშაობის პერიოდში საბჭო აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივ მედიასთან ინფორმაციის გავრცელებისა და გენდერულ თემაზე საზოგადოების ინფორმირების მიზნით. სისტემატურად ტარდებოდა საინფორმაციო შეხვედრები ჟურნალისტებთან ფონდ „სოხუმში“ თუ ქუთაისის გენდერის მედიაცენტრში (რადიო „ძველი

ქალაქის“ ოფისში). საბჭოს მიერ ინიცირებული თემები სისტემატიურად ხვდებოდა ადგილობრივ ბეჭდურ და სატელევიზიო მედიაში.

ჯერ ერთი, რომ ხშირად შუქდებოდა საბჭოს სხდომები, ჟურნალისტებთან შეხვედრები. ამას გარდა იმართებოდა გადაცემები პირდაპირ ეთერში საკრებულოს დეპუტატების, საბჭოს წევრების და საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით. კიდევ უფრო მეტი - მედიაში მოხდა გენდერული თემების წამოწევა, მეტი სოციალური აქცენტი. ტელეკომპანია „რიონი“, „მეგა TV“, რადიო „ძველი ქალაქი“, რადიო „თავისუფლება“, „ახალი გაზეთი, „ქუთაისი-პოსტი“, „ნიუპრესი“ გენდერული საბჭოს პარტნიორები არიან.

ანგარიში საზოგადოებას

თანამშრომლობის და გამოცდილების გაცნობის მიზნით წლების მანძილზე იმართებოდა ტრენინგები და ქსელური შეხვედრები ურეკში, ბათუმში, ქუთაისში. მასში მონაწილეობას იღებდნენ ქუთაისის, ბათუმის, სენაკის, ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოები, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ოთხივე ქალაქიდან. გაფორმდა ოთხმხრივი მემორანდუმი, შეიქმნა ერთიანი სამოქმედო სტრატეგია.

საბჭოს მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან თანამშრომლობას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული იყო მრგვალი მაგიდა, რომელზეც საბჭომ საკუთარ საქმიანობაზე ანგარიში ჩააბარა საზოგადოებას.

ერთი სტატია ვერ დაიტევს სამი წლის მანძილზე ნაბიჯ-ნაბიჯ გაკეთებულს. ძნელია სრულად გადმოცემა იმისა, რაც სამი წლის მანძილზე მოხდა - საბჭოს წევრების, სხვადასხვა პროექტის მონაწილე ადამიანების ცხოვრებაში, დამოკიდებულებაში აქტუალური საკითხების მიმართ.

ბუნებრივია, გამოწვევა ბევრად უფრო მეტია და მასშტაბური. ყველა პრობლემა ერთდროულად ვერ მოგვარდება, მაგრამ ის გზა, რა მიმართულებითაც მივდივართ, მიგვიყვანს საერთო მიზნამდე, რომელსაც სრულფასოვანი, თანასწორუფლებიანი საზოგადოების მშენებლობა ჰქვია.

ხათუნა გოგუა
ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მდივან-ასისტენტი

2013-2016: ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭო

ოზურგეთში გენდერული საკონსულტაციო საბჭო 2013 წლის სექტემბერში დაარსდა ფონდი „სოხუმის“ ინიციატივით.

საბჭოს თავმჯდომარე, სამი მოწვევის საკრებულოს დეპუტატი ლელა ნაცვალაძეა.

„დღეს აბსოლუტურად საფუძვლიანად ვამაყობთ, რადგან ოზურგეთში არსებობს გენდერული საკონსულტაციო საბჭო და ეს ფონდი „სოხუმის“ დამსახურებაა. 2013 წელს ფონდი „სოხუმის“ მიერ შეირჩა 4 მუნიციპალიტეტი: სენაკი, ოზურგეთი, ქუთაისი, ბათუმი, სადაც შეიქმნა გენდერული საკონსულტაციო საბჭოები. გაფორმდა მემორანდუმი ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან და შეიქმნა სამოქმედო გეგმაც,“ - ამბობს ლელა ნაცვალაძე.

მისივე თქმით, იმპერატიული მოთხოვნა იყო, რომ საბჭოში დეპუტატების რაოდენობა უნდა ყოფილიყო აუცილებლად ხუთი და უნდა ყოფილიყვნენ ქალი-დეპუტატები.

„მაშინდელ საკრებულოში სულ 3 ქალი დეპუტატი ვიყავით, მამაკაც დეპუტატთაგან კი მხოლოდ კახა ღლონტმა გამოთქვა საბჭოში შემოსვლის სურვილი. ფონდმა „სოხუმმა“ გააფორმა მემორანდუმი ოზურგეთის მუნიციპალიტეტთან და შედეგიც მალე დადგა. რამდენიმე თვეში დაფინანსდა პირველი პროექტი, რომელიც კახა ღლონტმა შესთავაზა საბჭოს ინიცირებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მხარდაჭერაც მოყვა. პროექტი დაფინანსდა და დღეს უკვე ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, სწორედ ამ პროექტის ფარგლებში არსებობს ახალგაზრდული გენდერული საკონსულტაციო საბჭო და ალტერნატიული საკრებულო,“ - გვითხრა ლელა ნაცვალაძემ.

რა პროექტები განახორციელა საბჭომ სამი წლის განმავლობაში

ლელა ნაცვალაძე: „თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მაშინდელ საკრებულოში გენდერის ცნება ჩვენი საკონსულტაციო საბჭოს მიერ იქნა შემოტანილი. პირველ პერიოდში იყო სკეპტიკური განწყობაც, იუმორიც და უნდობლობაც ამ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა დღეს უკვე ვითარება შეცვლილია.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ, ქალაქ ოზურგეთი თვითმმართველ ქალაქად გამოცხადდა და გამოეყო ცალკე მუნიციპალიტეტად. შეიქმნა ორი თვითმმართველი ორგანო: ქალაქ ოზურგეთის და ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტები. ორივე მუნიციპალიტეტთან, ასევე გურიის სამხარეო აპარატთან გაფორმებულია მემორანდუმი და ამ მემორანდუმების ფარგლებში აქტიურად ვთანამშრომლობთ.

2015 წელს საბჭოს რეკომენდაციით ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტში დაინიშნა გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში. გამგებლის თანაშემწე გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრია.

2016 წელს საბჭოს ინიციატივით, მოეწყო შეხვედრა ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან. ვგეგმავთ თანამშრომლობას და ერთობლივი პროექტების განხორციელებას.

საბჭო აქტიურად მუშაობს ადგილობრივ დონეზე საჭიროებების გამოსავლენად. მიღებული შედეგების მიხედვით შემუშავებულ რეკომენდაციებს აწვდის მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს. მათი მხრიდან, მუდმივი მზაობაა თანამშრომლობისთვის.

სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობით, ოზურგეთის გენდე-

რული საკონსულტაციო საბჭო 8 დასრულებულ და მიმდინარე პროექტს ითვლის. ერთ-ერთი მათგანია „კიბო განაჩენი არ არის“. ეს არის ონკო-პაციენტების ფსიქოლოგიური დახმარება და მათი რესოციალიზაციისთვის ხელის შეწყობა. პროექტი ერთხმად დააფინანსა 2015 წელს ორივე მუნიციპალიტეტმა და 2016 წელს ფსიქორეაბილიტაციას დაემატა სკრინინგ პროგრამაც.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და ფონდი „სოხუმის“ მხარდაჭერით განხორციელდა რამდენიმე პროექტი: „აქტიური ქალები უკეთესი მომავლისთვის“, რაც გულისხმობს ქალბატონების წახალისების მიზნით პასკის ფესტივალის გამართვას და არაფორმალური განათლების ხელშეწყობას. პროექტი წარმატებით განხორციელდა 2016 წლის მაისის დასაწყისში; პროექტის „ჩვენ გვაქვს სიცოცხლისა და განათლების უფლება“ ფარგლებში, ნაადრევი ქორწინების პრევენციის მიზნით ჩამოყალიბდება ფორუმ-თეატრი და ქალაქ ოზურგეთის საჯარო სკოლების მოსწავლეებისთვის გაიმართება სხვადასხვა სიტუაციის გათამაშება და დისკუსიები. „დავიცვათ ბავშვები ძალადობისგან“ - ეს პროექტი გულისხმობს საბავშვო ბაღების თანამშრომლების გადამზადებას ძალადობის პრევენციის კუთხით.

საბჭოს საქმიანობას აქტიურად აშუქებდნენ ადგილობრივი გაზეთები „ალიონი“, „გურია ნიუსი“, „გურიის მოამბე“, ტელეკომპანია „გურია“, ასევე გენდერის მედიაცენტრი. ტელესტუდიაში არაერთხელ იყვნენ მიწვეულები საბჭოს წევრები სხვადასხვა პრობლემაზე სასაუბროდ.

ახლა, როცა უკვე სამი წელია გასული საბჭოს შექმნიდან, ვხვდები, რომ ეს იყო ყველაზე პროგრესული პროექტი, რომელშიც კი ოდესმე მიმიღია მონაწილეობა. თუ თავიდან იყო სკეპტიციზმი და უნდობლობაც კი, იუმორი და ცინიზმიც ხშირ შემთხვევაში, დღეს მიდგომა რადიკალურად შეცვლილია და ადამიანები უბრალოდ აღარ გაურბიან გენდერის თემაზე საუბარს.

ადამიანები მოდიან ჩვენთან, მოაქვთ თავიანთი პრობლემები, ელოდებიან ჩვენგან მხარდაჭერას და ეს ხშირ შემთხვევაში აქვთ კიდეც, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია.

ვფიქრობ, რომ ოზურგეთის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ მოლოდინები გაამართლა“...

„ვცდილობთ, სკრინინგ ცენტრი ჩვენი მუნიციპალიტეტის რეალობაშიც გაჩნდეს“

ლალი სიჭინავა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი და გენდერული საკონსულტაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა:

„ვარ საკრებულოს წევრი და ასევე გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი - ასე ვეცნობი ადამიანებს და გაკვირვებული თვალებით მიმზერენ. საკრებულოს წევრი კი ვიცით, მაგრამ... დიახ, ბევრი ადამიანი ვერ ხვდება სიტყვა გენდერის არსს. ვთვლიდი, რომ ვარ ძლიერი, მებრძოლი და აქტიური ქალი, მაგრამ ამ საბჭოში ყოფნამ სულ სხვა თვალით დამანახა ჩემი, როგორც ქალის, შესაძლებლობები და საერთოდ ქალის ცხოვრება საზოგადოებაში. პროექტი „კიბო განაჩენი არ არის“ ონკოპაციენტების ფსიქოლოგიურ დახმარებაზე იყო გათვლილი. პროექტმა დაგვანახა, რომ საჭიროა არა მარტო დაავადებულ ადამიანებთან მუშაობა, არამედ ჯანმრთელებთან, კიბოს პრევენციისათვის. 2016 წლის ბიუჯეტში პროექტი კვლავ დაფინანსდა და ამჯერად ჩაიდო სკრინინგ პროგრამა. ეს პროექტი ხორციელდება როგორც სოფლებში, ასევე ქალაქში. საბჭო დაუკავშირდა არასამთავრობო ორგანიზაციას „ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში“, რომელიც ონკოლოგიურ დაავადებათა პრევენციაზე მუშაობს და მასთან ერთად მოხდა 10 თანასწორის გადამზადება და 10 სოფელში მოსახლეობასთან შეხვედრა. ეს ადამიანები თავიანთ სოფლებში გახდნენ განმანათლებლები, რომლებიც მოსახლეობის ინფორმირებაში დაგვეხმარებიან, რათა აუხსნან, რომ კიბოსგან

თავის დაღწევის საუკეთესო გზა ადრეული დიაგნოსტიკაა. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სკრინინგ ცენტრის საქმიანობის განხორციელება, კერძოდ ძუძუს, საშვილოსნოს ყელის, პროსტატისა და მსხვილი ნაწლავის კიბოს პრევენცია. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ კიბოს შემთხვევებმა იმატა. საჭიროა ყველამ ერთად ვიზრუნოთ ჯანმრთელობაზე. ვცდილობთ, სკრინინგ ცენტრი ჩვენი მუნიციპალიტეტის რეალობაშიც გაჩნდეს, რადგან ადრეული დიაგნოსტიკა საუკეთესო პრევენციაა ავთვისებიან სიმსივნეებთან ბრძოლაში. ეს კი ნიშნავს მრავალ გადარჩენილ სიცოცხლეს.

მიხარია, რომ გენდერული საკონსულტაციო საბჭო მუშაობს ყველა იმ მიმართულებით, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის. ხელისუფლების დამოკიდებულებაც შეიცვალა გენდერული კუთხით. ახლა თვით საკრებულოებში იქმნება გენდერული საბჭოები და მათ გაუადვილდებათ მუშაობა, რადგან პრაქტიკა არსებობს და ის გამოცდილი ადამიანური რესურსი, რაც გენდერულ საბჭოშია, კიდევ ბევრი კარგი საქმის გაკეთებას შეძლებს," - ამბობს ჩვენთან საუბრის დროს ლალი სიჭინავა.

„შემუშავდა რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობისთვის"

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი, მერაბ ჭანუყვაძე ამბობს, რომ გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან თანამშრომლობა იყო ნაყოფიერი და შედეგზე ორიენტირებული. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საბჭოს მიერ ინიცირებული პროექტი „კიბო განაჩენი არ არის" 9000 ლარით დააფინანსა. პროექტის ფარგლებში 2015 წელს ხორციელდებოდა ონკოლოგიური სენით დაავადებული პაციენტების ფსიქოლოგიური კონსულტირება-რეაბილიტაცია.

პროექტი მიზნად ისახავდა სკრინინგ-ჯგუფების ჩამოყვანას, უფასო კვლევებს და კონსულტაციების ჩატარებას. შემდგომ ბენეფიციართა სიმრავლის გამო მუნიციპალიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია პროექტის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების გაზრდა. პროექტში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 13 სოფლის 50 ბენეფიციარი ჩაერთო. დაფინანსდა ასევე გენდერული საკონსულტაციო საბჭოს პროექტი, რომელიც მუნიციპალიტეტის სოფლებში პრობლემების იდენტიფიცირებას ითვალისწინებდა.

ადგილობრივი საჭიროებების გამოვლენის მიზნით საბჭოს მიერ განხორციელდა კვლევა, რომელმაც მთლიანად მოიცვა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფლები. სამიზნე ჯგუფების შერჩევა მოხდა ადგილობრივი ინტერესებიდან გამომდინარე. ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა საბავშვო ბაღისა და სკოლის პედაგოგებთან, გამგებლის წარმომადგენლებთან სოფლებში, ახალგაზრდებთან, დევნილ და სოციალურად დაუცველ ქალბატონებთან. ჩაღრმავებული ინტერვიუებისათვის რესპონდენტებად შერჩეულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ექსპერტები ჯანდაცვის, განათლების და სოფლის მეურნეობის სფეროდან. გამოკითხვა ჩატარდა იძულებით გადაადგილებულ პირებთან, ეთნიკურ უმცირესობებთან, სოციალურად დაუცველ ქალბატონებთან და ახალგაზრდებთან.

კვლევის საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები ადგილობრივი თვითმმართველობისათვის წარსადგენად, რათა 2016 წლის ბიუჯეტი მაქსიმალურად ყოფილიყო მორგებული მოსახლეობების საჭიროებებზე.

„მერიისთვის გენდერის საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია"

ქალაქის მერი ბეგლარ სიორიძე ჩვენთან საუბრის დროს ამბობს, რომ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის გენდერის საკითხები ძალიან მნიშვნელოვანია.

„ვცდილობთ ამ მიმართულებით ჩვენი წვლილი შევიტანოთ. ამის ნათელი მაგალითია ქალაქ ოზურგეთის მერიაში დაცული გენდერული ბალანსი, რა მხრივაც საქართველოს მუნიციპალიტეტებს შორის ერთ-ერთი პირველი ვართ. საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით ჯერ კიდევ ბევრია სამუშაო. სწორედ ამიტომ აქტიურად ვთანამშრომლობთ გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან და მივიღეთ საბჭოს მიერ მომზადებული პროექტების დაფინანსების გადაწყვეტილება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუშაობა ახალგაზრდობასთან. გამომდინარე იქიდან, რომ საზოგადოების ცნობიერების შეცვლა ახალგაზრდებით უნდა დავიწყოთ, რადგან მომავალს სწორედ ისინი ქმნიან. ჩვენი მთავარი სურვილია გენდერულად დაბალანსებული, სქესის განურჩევლად უფლებებისა და შესაძლებლობების რეალიზების მქონე საზოგადოების ჩამოყალიბება, ამ მიზნისკენ სვლა კი სწორედ ახალგაზრდებით, ახალი თაობით უნდა დავიწყოთ."

გიორგი გირკელიძე
გაზეთ „გურია ნიუსის" კორესპონდენტი - სპეციალურად ჩვენი ჟურნალისთვის

2013-2016:
სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭო

25 ივლისს სენაკში გაიმართა გენდერული საკონსულტაციო საბჭოს სამწლიანი მუშაობის შემაჯამებელი კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა დგებუაძე, საკრებულოს თავმჯდომარე ჯუმბერ ლაშქარავა, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში შემავალი მუნიციპალიტეტების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელები, ადგილობრივი თვითმმართველობის, ფონდი „სოხუმისა“ და გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წარმომადგენლები. გამომსვლელებმა მიმოიხილეს სენაკის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროექტების და კვლევების შედეგები, საბჭოსა და მუნიციპალიტეტის გამგეობის ერთობლივი ინიციატივები.

სამმა საპროექტო წელმა ნაყოფიერად და წარმატებულად ჩაიარა.

ქალთა საჭიროებების წინ წამოწევა და ადვოკატირება, ადგილობრივ ბიუჯეტში გენდერული კომპონენტების დანერგვა - ეს არის პრიორიტეტული საკითხები საბჭოს საქმიანობაში.

საბჭოს პირველი თავმჯდომარე, ნატალია ხუბუა (რომელიც ამჟამად გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსია) აღნიშნავს: „გენდერული საბჭოს საქმიანობის ძირითად და მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებასთან თანამშრომლობა გენდერული პოლიტიკის სფეროში. ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით სენაკის გენდერულმა საბჭომ სამჯერ ჩაატარა ადგილობრივი სოციალური ჯგუფების საჭიროებათა შეფასება. კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი ინფორმაციის მოპოვებით, გამოკითხვის, ფოკუს-ჯგუფებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს მეთოდით.სამი წლის განმავლობაში კვლევაში მონაწილეობა მიიღო 1000-მდე რესპონდენტმა. კვლევა მიზნად ისახავდა სხვადასხვა გენდერული ჯგუფის - ქალების, იძულებით გადაადგილებული პირების, სოციალურად დაუცველი ოჯახების, ახალგაზრდების, ეროვნული უმცირესობების, შშმ პირების, ექიმების, პედაგოგების და სხვათა საჭიროებების შეფასებას და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის წინადადებებისა და რეკომენდაციების მიწოდებას.

ხორციელდება შემდეგი პროგრამები: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევის პროგრამა, სოციალური ადაპტაციისათვის სამზრუნველო ქსელის და ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარების პროგრამა.

სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით მიმდინარე წელს გათვალისწინებულია შშმ პირების სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის მხარდაჭერის პროგრამები. პროგრამა ითვალისწინებს მხედველობადაქვეითებული, სენსორული პრობლემების მქონე პირების, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და აუტიზმით დაავადებული მოზარდების დახმარების პროგრამას. პროგრამის ამოცანაა განვითარების რისკის, შშმ ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა, ბავშვის და ოჯახის გაძლიერება.

წელს ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები სოციალურ და ჯანდაცვის პროგრამებში: იშემიური დაავადებულ პაციენტებზე მედიკამენტების თანადაფინანსება, შშმ პირთა შინ მოვლის პროგრამის

ამოქმედება, მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერისათვის შშმ პირთა დასაქმების და საზოგადოებაში ინტეგრირების პროგრამების მხარდაჭერა.

ქალბატონი ნატალია იმედს გამოთქვამს, რომ გენდერული საკონსულტაციო საბჭო პროექტის დასრულების მიუხედავად გააგრძელებს საქმიანობას, ვინაიდან ეს ახალი ინსტიტუციური მექანიზმი იძლევა საშუალებას, რომ თვითმმართველობა საზოგადოებასთან ერთად გენდერული პარამეტრების ინტეგრაციით, ანუ განსხვავებული საჭიროებების და პრობლემების დანახვით, გამოცდილებისა და ხედვების მთელი მრავლფეროვნების გათვალისწინებით ხელს შეუწყობს სოციალურად მგრძნობიარე, საზოგადოების ინტერესებზე დამყარებული პოლიტიკის განხორციელებას.

საკრებულოს დეპუტატის, საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარის ნანა ალანიას თქმით, მეტად მნიშვნელოვანია, რომ შემუშავებული რეკომენდაციების დიდი ნაწილი მხარდაჭერილ იქნა საკრებულოსა და გამგეობის მხრიდან:

„მოხდა სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა, რაც აისახა შემდეგ სოციალურ პროგრამებში: ონკოლოგიური ავადმყოფების ქიმიოთერაპიული და იმუნოთერაპიული მკურნალობისთვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება წელიწადში ორჯერ, ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის დაფინანსებისა და თანადაფინანსების პირობების შესაბამისად. ც ჰეპატიტით დაავადებულ პირებს ც ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე დაავადების სტადიის დიაგნოსტირებისთვის აუცილებელი კვლევების თანადაფინანსებისათვის დახმარება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარების პროგრამა - ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომითა და აუტიზმით დაავადებულ მოზარდებზე წელიწადში ორჯერ გაიცემა 100 ლარი (50 ბენეფიციარი), რომლის ამოცანაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების განვითარების სტიმულირება და სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა. დაწყებითი კლასის მოსწავლეთა პროფილაქტიკური გამოკვლევების პროგრამა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლის პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები, მათი პროფილაქტიკური გამოკვლევები გავრცელებულ პათოლოგიებზე ჰიპერაქტივობისა და ჰიპერკინეზების სინდრომი, თვალის პათოლოგია, სქოლიოზი...

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ წელს მიღებული ძალადობის მსხვერპლთათვის ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ფარგლებში.

ეს არის პირველი პრეცედენტი სენაკის მუნიციპალიტეტში“.

ქალბატონი ნანა მიიჩნევს, რომ სენაკის ბიუჯეტი წინა წლებთან შედარებით ბევრად უფრო გენდერულად სენსიტიური გახდა.

საბჭოს მიერ მოპოვებულ სტატისტიკურ მონაცემებზე და კვლევებზე დაყრდნობით, ადგილობრივი თვითმმართველობის, საზოგადოებისა და ფონდის მიერ ადგილობრივი საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით დაიგეგმა და განხორციელდა შემდეგი პროექტები: „სამოქალაქო განათლება გენდერული თანასწორობისა და ჯანსაღი გარემოსათვის სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში“, „ოჯახში ძალადობის პრევენცია სენაკის მუნიციპალიტეტში“.

პირველი პროექტის კოორდინატორი დალი ქაჩიბაია აღნიშნავს, რომ პროექტის ფარგლებში ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 10 საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა მშობლებს, პედაგოგებს და აღსაზრდელებს ჩაუტარდა 30 ვორკშოპი გენდერული თანასწორობის, ძალადობის პრევენციის და ეკოსანიტარიის დაცვაზე. მოეწყო გამწვანების აქცია, ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა, მრგვალი მაგიდა თემაზე „ძალადობრივი გარემოს გავლენა მოზარდის განვითარებაზე“, აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. პროექტი დასრულდა შემაჯამებელი ფორუმით, რომელშიც მონაწილეობდნენ სამხარეო ადმინისტრაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები. პროექტის წარმატების განხორციელების შედეგად ცნობიერება აუმაღლდა 300-ზე მეტ ბენეფიციარს.

საბჭომ განახორციელა პროექტი „ოჯახში ძალადობის პრევენცია სენაკის მუნიციპალიტეტში“ - ეს იყო მუშაობა 14 ტერიტორიულ ერთეულში. პროექტმა მოიცვა 50-მდე სოფელი. სენაკის საკრებულოს თანადაფინანსებით პროექტის ფარგლებში ყველა ტერიტორიულ ერთეულში შეიქმნა გენდერული საინიციატივო ჯგუფები, რომელთა შემადგენლობაში შევიდნენ გამგებლის წარმომადგენლები, მაჟორიტარი დეპუტატები, პედაგოგები, ექიმები, აქტიური ქალები და ახალგაზრდები. ჯგუფებმა გაიარეს სპეციალური საგანმანათლებლო ვორკშოპები გენდერისა და ძალადობის თემებზე, შეიმუშავეს რეკომენდაციები ოჯახში ძალადობის პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებების განსახორციელებლად. პროექტმა გაითვალისწინა სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური ჩართვა. მათ დამოუკიდებლად ჩაატარეს საინფორმაციო შეხვედრები სოფლის მოსახლეობასთან, აამაღლეს მათი ცოდნა და ინფორმირებულობა.

საბჭოს წევრი, საკრებულოს დეპუტატი ინგა ქარდავა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრების მჭიდრო თანამშრომლობაზე ამომრჩეველ ქალთა კლუბთან: „სენაკში სისტემატურად იმართებოდა ამომრჩეველ ქალთა კლუბის სხდომები და საინფორმაციო შეხვედრები. ეს შეხვედრები ხელს უწყობდა პრობლემების წარმოჩენას. კლუბის წევრები ხშირად გვიკავშირდებოდნენ, ჩვენ ერთად ვმუშაობდით სხვადასხვა ტიპის პრობლემების მოგვარებაზე. საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა არაერთი საკითხი და მოგვარდა საბავშვო ბაღში, სამუსიკო სკოლაში, დევნილთა კოლექტიურ ცენტრებსა თუ ბიბლიოთეკაში არსებული პრობლემები“.

უნდა აღინიშნოს, რომ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობამ განსაკუთრებით გააქტიურა გენდერული პრიორიტეტები. ახალგაზრდობისა და სპორტის განყოფილებას ორი წლის წინ დაემატა გენდერული თანასწორობის მიმართულება, განყოფილების ხელმძღვანელი ირაკლი კაჭარავა აღნიშნავს: „2015 წლის იანვარში ფონდ „სოხუმსა“ და მუნიციპალიტეტის გამგეობას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე ჩვენი განყოფილების ორგანიზებით განხორციელდა ორი ტრენინგი. ერთი - მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის 30 წარმომადგენლისათვის, ხოლო მეორე ჩაუტარდა 30 ახალგაზრდას, რომელთა ასაკი იყო 16–18 წელი. 2016 წლის დასაწყისშიც, წინა წლის მსგავსად, მოეწყო ტრენინგები ახალგაზრდებისათვის, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატებისა და გამგებლის წარმომადგენლებისთვის ტერიტორიულ ერთეულებში. სულ ტრენინგები ჩაუტარდა 95 ადამიანს, მათ შორის: 65 ახალგაზრდას, საკრებულოსა და გამგეობის 30 წარმომადგენელს. განყოფილება აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას ყველა იმ პროექტში, რაც დაიგეგმა და განხორციელდა საბჭოს მიერ და დიდ იმედს გამოვთქვამთ, რომ ჩვენი თანამშრომლობა კვლავაც აქტიურად გაგრძელდება“.

სამი წლის მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა. ჩამოყალიბდა ადგილობრივი გენდერული პოლიტიკა. საჭიროა, რომ თვითმმართველობამ კიდევ მეტი ძალისხმევა მიმართოს გენდერული კუთხით, რათა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი იყოს გენდერული, სოციალურ კეთილდღეობაზე ორიენტირებული.

მაია გერგაია
გაზეთ „კოლხეთის“ კორესპონდენტი - სპეციალურად ჩვენი ჟურნალისთვის

ოზურგეთი: მამაკაცების გენდერული პორტრეტები

„ეს არ იყო პროექტი პროექტისთვის, საქმე რეალურად გაკეთდა“ - ასე აფასებენ ოზურგეთში გენდერული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობას.

ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭო 2013 წელს დაარსდა. დაარსებიდან დღემდე საბჭომ არაერთი აქტივობა განახორციელა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოში გენდერული ბალანსი დაცულია. ქალბატონები და მამაკაცები ერთიანი ძალებით ცდილობდნენ, განსახორციელებელი პროექტები მეტად ეფექტური და საჭიროებებზე მორგებული გაეხადათ. გადავწყვიტეთ, რუბრიკაში „მამაკაცების გენდერული პორტრეტები“ სწორედ ის აქტიური მამაკაცები ჩაგვეწერა, რომლებიც საბჭოს წევრები სხვადასხვა დროს გახდნენ, მაგრამ მათი წვლილი დიდია მუშაობის წარმატებულად წარმართვაში.

გელა კობალაძე, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: „ერთი წელია, რაც საბჭოს წევრი გავხდი. ამ ხნის მანძილზე ხშირად ვიკრიბებოდით, ვმსჯელობდით, რა შეიძლებოდა გაგვეკეთებინა, რომ შედეგი დაგვედო. ჩვენი მუშაობა ნაყოფიერი გამოდგა. რამდენიმე პროექტის განხორციელება წარმატებულად შევძელით. მაგალითად, გამოვყოფდი „კიბო განაჩენი არ არის“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში ჩატარდა უფასო სამედიცინო კვლევები, სკრინინგი. შესაძლებელი იყო ფსიქოლოგთან კონსულტაცია, რაც, დამეთანხმებით, სიმსივნით დაავადებული ადამიანისთვის ბევრს ნიშნავს. საერთოდ, ფსიქოლოგიური დახმარება პაციენტებისთვის მნიშვნელოვანია. ცოტა ხნის წინ იყო ჩვენი მუშაობის შემაჯამებელი შეხვედრა ქუთაისში, სადაც საბჭოს საქმიანობა დადებითად, ნაყოფიერად შეფასდა. ამისთვის საბჭოს თითოეულმა წევრმა და თავმჯდომარემ, ლელა ნაცვალაძემ ძალიან ბევრი იმუშავა. იმედი მაქვს, მომავალშიც გაგრძელდება მსგავსი ტიპის პროექტები“.

გენადი მესხიძე, ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფელ მერიის მაჟორიტარი დეპუტატი: „ძალიან კარგი, შედეგზე ორიენტირებული პროექტები განხორციელდა. ეს არ იყო პროექტი პროექტისთვის. საქმე რეალურად გაკეთდა. სხვა დანარჩენთან ერთად, მინდა ვისაუბრო ახალგაზრდულ საკრებულოზე. მოზრდილებსაც შეშურდებოდათ მათი შემართება, მუშაობა, ისეთი ინიციატივები აქვთ, ისეთ კითხვებს სვამენ, რომლებიც შეიძლება ჩვენს საკრებულოშიც დეფიციტი იყოს“.

ალექსანდრე გოგოძე, ოზურგეთის თემთა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოფელ ნაგომრის მაჟორიტარი დეპუტატი: „საბჭოს წევრი ვარ 2014 წლიდან. ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის, გადმოსახედიდან გეტყვით, რომ ჩვენი ბიუჯეტი გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით უფრო მგრძნობიარე გახდა. ისეთი ნიუანსები გავითვალისწინეთ, რასაც ადრე ყურადღებაც არ ექცეოდა“.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრები ამბობენ, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერული თემების კუთხით. ფიქრობენ, რომ ფონდი „სოხუმის“ განხორციელებული პროექტების შემდეგ ამ მხრივ წინსვლა შეინიშნება, მაგრამ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია.

გენადი მესხიძე: „ადრე სულ სხვანაირად მესმოდა ცნება „გენდერული თანასწორობა“. ბოლომდე შეიძლება დღესაც ვერ ვერკვეოდე ამ საკითხში, მაგრამ მნიშვნელოვანი განათლება მივიღე. საზოგადოების ინფორმირებაზე აქტიურად ვზრუნავთ. კონკრეტულად ჩემს სოფელში იმართება საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. სოფლიდან ქალაქშიც ჩამოგვყავს დაინტერესებული ადამიანები სხვადასხვა ტრენინგსა თუ სემინარზე“.

ალექსანდრე გოგოძე: „ორი წლის წინ არ ვიცოდი, რას ნიშნავდა გენდერი. ფონდი „სოხუმის“ დახმარებით პირადად ჩემი კვალიფიკაცია ამაღლდა. ჩატარდა ტრენინგები. მგონია, რომ ბოლო წლებში ხალხი შედარებით ინფორმირებულია. გარკვეული წინსვლები არის, მაგრამ არა რადიკალური. პირადად მეც ვცდილობ, საჭირო ინფორმაცია მივიტანო ჩემს ამომრჩევლებამდე. ასევე სურვილი მაქვს, მეც მეტად გავერკვე აღნიშნულ საკითხში“.

გელა კობალაძე: „საზოგადოების დიდ ნაწილს გენდერი მხოლოდ ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში ძალადობა ჰგონია. პირადად მე ვიცოდი, რომ მხოლოდ ეს არ იყო გენდერი, მაგრამ ინფორმაცია ნამდვილად ნაკლები მქონდა. ბოლო ხანს საზოგადოებაში ინფორმაციის სიმცირეს არ უჩივიან. თუკი მოქალაქე დაინტერესებულია, ბევრი რესურსი, საშუალება არსებობს, რომ სრული ინფორმაცია მიიღოს“.

კონკრეტულად საბჭოს მუშაობის, პროექტების განხორციელების დროს არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი ფაქტორი. მაგრამ, ჩვენი რესპონდენტების აზრით, ზოგადად გენდერული ბალანსის დაცვისას საზოგადოებაში რამდენიმე ძირითად წინააღმდეგობას ვაწყდებით.

ალექსანდრე გოგოძე: „მთავარი წინააღმდეგობა ისევ ადამიანების დამოკიდებულებაა. არასერიოზულად უყურებენ გენდერულ თემებს. ბევრისთვის ღიმილისმომგვრელიც

გელა კობალაძე

გენადი მესხიძე

ალექსანდრე გოგოძე

კია. მაგრამ როცა კარგად აუხსნი, იცვლიან დამოკიდებულებას“.

გენადი მესხიძე: „უნდა ვეცადოთ, მაქსიმალურად დავიცვათ გენდერული ბალანსი, მაგრამ პოლიტიკაში ეს რთულია. ამბობენ, რომ დღეს ქალბატონები ნაკლებია ამ ფლანგზე. ასეა, მაგრამ ვითარება რომ შეიცვალოს, პირველ რიგში, თვითონ ქალების სურვილი უნდა იყოს. ანდა შეიძლება ჩვენ დეპუტატობის კანდიდატად ქალი წარვადგინოთ, მაგრამ ხალხისგან არ იქნას მხარდაჭერილი. კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას ოჯახური ძალადობის დროს ვაწყდებით. ხშირად ადამიანები თავს იკავებენ პრობლემაზე საუბრისგან, ესირცხვილებათ ან ეშინიათ“.

და ბოლოს, რას ფიქრობს გელა კობალაძე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე, დაცულია თუ არა გენდერული ბალანსი უწყებაში, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობს:

„მოგეხსენებათ, ჩვენს საკრებულოში ქალბატონების და მამაკაცების რაოდენობა 50 / 50-ზეა. მაგრამ მთავარი აქ ციფრები არაა. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ საქმესაც სირთულის, სიმძიმის და მოთხოვნილების მიხედვით ვანაწილებთ“.

მერი კოძოევა
გაზეთ „ალიონის“ კორესპონდენტი - სპეციალურად ჩვენი ჟურნალისთვის

ქუთაისი: მამაკაცების გენდერული პორტრეტები

ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭო აქტიურად თანამშრომლობს თვითმმართველობასთან. საბჭოს წევრთა შორის არიან საკრებულოს დეპუტატები.

რა შეიცვალა მათთვის სამი წლის მანძილზე, როგორია დამოკიდებულება გენდერული საკითხების მიმართ, როგორ აფასებენ საბჭოს მუშაობას და აპირებენ თუ არა სამომავლოდ თანამშრომლობას?

ამის შესახებ გვესაუბრებიან საკრებულოს დეპუტატები მმართველი გუნდიდან: გურამ ტოროშელიძე, თეიმურაზ ნადირაძე და ტარიელ მეტონიძე.

დეპუტატები ერთხმად აღიარებენ, რომ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს არსებობა აუცილებელია, რადგან ის აქცენტს აკეთებს იმ თემებზე, რომელთა წინა პლანზე წამოწევა და რეალიზება აუცილებელია.

„როდესაც შემომთავაზეს თანამშრომლობა, დავთანხმდი, რადგან მიმაჩნდა, რომ მას ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო. ჩვენი მხარდაჭერა ბევრ ადამიანს სჭირდება. ჩემი მხრივ, ვცდილობ იმ პროექტების ლობირებას, რომლებიც თვითმმართველობაში, კერძოდ კი ბიუჯეტში გასათვალისწინებლად შემოდის. თუმცა ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქუთაისის ბიუჯეტი არის გენდერული და განაწილებულია საზოგადოების ყველა ჯგუფზე. რა თქმა უნდა, არ ვამბობ, რომ ყველაფერი იდეალურადაა და ნამდვილად მეტია გასაკეთებელი ამ კუთხით“, – განაცხადა გალაქტიონ (გურამ) ტოროშელიძემ - ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე.

თანაგუნდელს საბჭოს არსებობის აუცილებლობაში ეთანხმება ტარიელ მეტონიძეც. მისი თქმით, არიან ადამიანები, რომელთათვისაც გენდერული საბჭოს და ფონდი „სოხუმის“ მიერ შემუშავებული პროექტები მნიშვნელოვანია.

„თუ გავითვალისწინებთ, რომ საზოგადოება სხვადასხვა ფენად არის დაყოფილი, მივხვდებით, რაოდენ მნიშვნელოვანია ისეთი ორგანიზაციები, რომელთა დახმარებაც აუცილებელია ადამიანებისთვის. ვიღაცისთვის გენდერული თანასწორობა დიდი ხნის წინ გადაჭრილი პრობლემაა, ვიღაც ახლა იწყებს საკუთარი თავის რეალიზებას. ეს ეხება არა მხოლოდ ქალბატონებს, არამედ მამაკაცებს. ვერ ვიტყვით, რომ ცალსახად ან მამაკაცია დომინანტი, ან ქალი, ეს ინდივიდუალურია. მთავარია იმან მიიღოს ხელშეწყობა, ვისაც ჭირდება. ამიტომ ჩვენ ვცდილობთ, საბჭოს მიერ წამოწეული საკითხების მხარდაჭერას,“ – განაცხადა ტარიელ მეტონიძემ.

გურამ ტოროშელიძე

თეიმურაზ ნადირაძე

ტარიელ მეტონიძე

თუმცა მას შენიშვნა აქვს ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის მოწყობილ თავშესაფრებთან. ამბობს, რომ თავშესაფარი, რაღაც ნაწლში კარგია, თუმცა, რაღაც ნაწილში არ ეთანხმება.

„თავშესაფრები, რომლებიც მოეწყო, რაღაც ნაწილში არ მომწონს. ის ფაქტი, რომ ადამიანს შეუძლია სახლიდან წასვლა თავშესაფარში, ბევრისთვის არის მოტივაცია პირველივე კამათზე დატოვოს სახლი და დაანგრიოს ოჯახი. იმ შემთხვევაში, თუ ძალადობა ეჭვიანობის ნიადაგზე ხდება, ქალის სახლიდან გასვლა რამდენიმე დღით, უფრო გაუმძაფრებს მეუღლეს ეჭვიანობის მიზეზს და ამით პრობლემა ვერ დასრულდება. საჭიროა ადგილზე მუშაობა ორივე მხარესთან. თუმცა არის შემთხვევები, როცა თავშესაფარში განთავსება აუცილებელია“, – აცხადებს ტარიელ მეტონიძე.

დაზარალებულთა თავშესაფარში გაყვანის წინააღმდეგია გურამ ტოროშელიძეც. დეპუტატი თვლის, რომ დაზარალებული კი არ უნდა გაიყვანონ სახლიდან და შვილებთან ერთად გადამალონ, არამედ მოძალადე უნდა დაისაჯოს კანონის ფარგლებში, დაზარალებული კი საკუთარ სახლში უნდა დარჩეს.

საბჭოს მნიშვნელობაზე საუბრობს საკრებულოს კიდევ ერთი დეპუტატი თეიმურაზ ნადირაძე. მისი განცხადებით, საკრებულოში მისი საქმიანობიდან გამომდინარე, თემები, რომელთაც გენდერული საბჭო წამოწევს, მისთვის ახლობელი იყო.

„რა თქმა უნდა, დროული იყო საბჭოს შექმნა. საბჭო, რომელიც იმუშავებდა, რათა მეტი აქცენტი გაკეთებულიყო გენდერულ საკითხებზე. მსგავს თემებზე ინიციატივა აიღეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რადგან ეს უფრო აჩქარებს პროცესებს. ასეთი აღმოჩნდა ფონდი „სოხუმი“, რომელიც ძალიან აქტიურად მუშაობს. მე ვარ სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის კომისიის თავმჯდომარე. ამიტომ გენდერულ და სოციალურ საკითხთა წამოწევა მისასალმებელია. რაც შეიძლება მეტი საკითხი უნდა გადაწყდეს. ეს იქნება სოციალური, ჯანდაცვა თუ სამართალმიმართებაში. უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობთ, ვიდრე აქამდე და მხარს ვუჭერთ ფონდ „სოხუმს“, – განაცხადა თეიმურაზ ნადირაძემ.

როგორი იყო მათი დამოკიდებულება გენდერის მიმართ და რა შეიცვალა მათთვის საბჭოში გაწევრიანების შემდეგ ოჯახში, შვილების მიმართ, სამსახურში და საზოგადოებაში? დეპუტატები აცხადებენ, რომ გენდერს მათ ცხოვრებაში ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

„გენდერული თანასწორობა ჩვენს ქვეყანაში მეტნაკლებად ყოველთვის იყო. მამაკაცი პატივს სცემდა ქალს და პირიქით. ამიტომ, ვერ გეტყვით, რომ პირადად ჩემთვის რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე აღმოჩნდა. ოჯახში, სახლში, საზოგადოებაში ყოველთვის ვაღიარებ თანასწორუფლებიანობას. თუმცა ყოველთვის შეიძლება ამ საკითხზე მუშაობა. პრობლემა არის იმ ოჯახში, სადაც სიყვარული არაა,“ – განაცხადა გურამ ტოროშელიძემ.

„მამაკაცისა და ქალის თანასწორობა ყოველთვის იყო, არის და იქნება. ჩემს ოჯახში არასოდეს ყოფილა მსგავსი პრობლემები და მეც ასე გავიზარდე. ამიტომ ვერ გეტყვით, რომ საბჭოში გაწევრიანებით მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. თუმცა არის თემები, რომლებიც ყოველთვის შეიძლება განვიხილოთ და შევისწავლოთ. დავდივართ ტრენინგებზე, ვეცნობით სხვადასხვა საკითხს, რომ შემდგომ გამოვიყენოთ ჩვენს საქმიანობაში, – აღნიშნა ტარიელ მეტონიძემ.

„გენდერი, აქცენტი სოციალურ საკითხებზე, როგორც აღვნიშნე, ჩემთვის ახლო თემაა, ყოველდღიურად მიწევს ამ საკითხებთან შეხება. ვთვლი, რომ მნიშვნელოვანია გენდერის წინა პლანზე წამოწევა. ჩემთვის ყოველთვის მისაღები იყო და მომავალშიც ასე იქნება. არაფერი შეცვლილა და ყოველთვის ვიცავდი გენდერულ თანასწორობას ოჯახში, შვილებთან და საზოგადოებაში,“ – ასეთია თეიმურაზ ნადირაძის მოსაზრება.

რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, დეპუტატები აცხადებენ, რომ საბჭოსთან თანამშრომლობას მომავალშიც გააგრძელებენ, რადგან მათი აზრით, ფონდი „სოხუმი“ სასარგებლო საქმეს აკეთებს.

ნესტან ჩაგელიშვილი
„ახალი გაზეთის“ ჟურნალისტი -
სპეციალურად ჩვენი ჟურნალისთვის

სენაკი: მამაკაცების გენდერული პორტრეტები

სენაკის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ უამრავი ადამიანი გააერთიანა გენდერული თანასწორობისათვის. მათ შორის არიან ბადრი კალანდარიშვილი, კობა კილასონია და მერაბ გეგელია.

ბადრი კალანდარიშვილი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა. გენდერული საკოსულტაციო საბჭოს სხდომებს ხშირად ესწრება.

ამბობს: - არასოდეს ვუშვებ ხელიდან შანსს, დავესწრო სხდომებს. მე ჩემი სამსახურიდან გამომდინარე, აქტიურად ვერ ვახერხებ, თუმცა მაქსიმალურად ვცდილობ, ვიყო ჩართული საბჭოს საქმიანობაში.

საუბრობს უთანასწორობაზე, ოჯახში ძალადობაზე, მსხვერპლ ქალებზე, ბავშვებზე, უფლებებზე, რომელთა შესახებაც ხშირად ქალებმა არაფერი იციან. ის, რომ ამ თემებზე ადამიანები ხმამაღლა ალაპარაკდნენ, გაკვირვებას არ იწვევს მასში, რასაც ერთგვარად ფონდი „სოხუმის“ დამსახურებად მიიჩნევს:

- ფონდი „სოხუმი“ რამდენიმე წელია, ჩვენთან თანამშრომლობს. ქალაქში არის ქალთა მხარდაჭერის ცენტრი. ახლა კი სამი წელია, აქტიურად მოქმედებს გენდერული საკონსულტაციო საბჭო. საბჭო ცდილობს, ყველას მიაწოდოს ინფორმაცია გენდერულ საკითხებზე, ძალადობაზე და მისგან დაცვის არსებულ მექანიზმებზე, გენდერული კუთხით სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს.

ბატონი ბადრი არ მალავს, რომ თავიდან სკეპტიკურად იყო განწყობილი საბჭოს მუშაობის მიმართ:

- მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრი არ ვარ, კარგად ვიცნობ მის საქმიანობას. ეს არა მხოლოდ სამსახურებრივად მევალება, არამედ ადამიანურადაც მაინტერესებს. თუმცა უნდა ვაღიარო, თავიდან უნდობლობის მომენტი მქონდა, რადგან საბჭო ბევრ ტაბუდადებულ თემას ეხებოდა. შემდეგ - საბჭოს წევრების მუშაობის შედეგები, ფონდი „სოხუმის“ და ადგილობრივი ხელისუფლების დაფინანსებული პროექტების მიღწევები რომ ვნახე, აქტიურად ჩავერთე დაფინანსების მოპოვების საქმეში...

ბადრი კალანდარიშვილი ამბობს, რომ თავადაც ბევრი რამ გაიგო გენდერზე. ამ ინფორმაციებმა შეცვალა მისი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ:

„მე ერთადერთი ქალიშვილი მყავს, აზიატი მამა ვარ, ვაღიარებ. თუმცა ვცდილობ, ის არ შევზღუდო და ბარიერი არ შევუქმნა მხოლოდ იმიტომ, რომ გოგოა. ოჯახი ჩემთვის სიყვარულია, ურთიერთგაგებაა. მე ვგმობ ძალადობას და მიმაჩნია, რომ ყველა თანასწორია, მიუხედავად სქესისა... ვცდილობ, ქალბატონების მიმართ ლოიალური ვიყო, თუმცა სამსახურში ქალსაც ისევე ვთხოვ თავისი მოვალეობის შესრულებას, როგორც კაცს. ანუ ამ მხრივ შეღავათები არ მიმაჩნია სწორად და ასე გენდერულ ბალანსს ვიცავ.

ბატონ ბადრის მიაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებული პროექტი „სამოქალაქო განათლება გენდერული თანასწორობისა და ჯანსაღი გარემოსთვის სენაკის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო, რადგან მიზნად ისახავდა საბავშვო ბაგა-ბაღების პედაგოგების, აღმზრდელების და აღსაზრდელთა მშობლების სამოქალაქო დონის ამაღლებას გენდერის, ძალადობის და ეკოსანიტარიის საკითხებზე.

ჩვენი რესპონდენტი დადებითად აფასებს სენაკის საბჭოს მიერ გაწეულ საქმიანობას და მიაჩნია, რომ გენდერულ საკითხებზე მოსახლეობის ინფორმირებას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ეს ცვლის დამოკიდებულებას ერთმანეთის მიმართ ოჯახსა და საზოგადოებაში, ხელს უწყობს ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ამიტომაც ბადრი კალანდარიშვილი ჩვენთან საუბარს მადლობით ამთავრებს:

- მინდა, მადლობა ვუთხრა ფონდ „სოხუმს“ და თითოეულ ადამიანს, ვინც მონაწილეობდა საბჭოს პროექტების განხორციელებაში, რადგან მათ ხალხს მისცეს საშუალება, მეტი ინფორმაცია მიეღოთ გენდერზე, გაეგოთ მისი არსი, საჭიროება ყოველდღიურ ცხოვრებაში. რა დასამალია და, ძალიან ბევრმა ამ სიტყვის მნიშვნელობაც არ იცოდა. ბევრს არასწორად ესმოდა. ახლა ამ კუთხით ბევრი რამ უკეთესადაა. ყველაზე მეტად მომწონს ის, რომ ახალგაზრდები ჩაერთნენ მუშაობაში. როცა მათ ვუსმენ და ვუყურებ, თეთრი შურით მშურს, რადგან ამ თაობამ ბევრი რამ იცის და ჩვენზე წინ არიან. ახალგაზრდები სილაღით, თავისუფალი ბუნებით გამოირჩევიან, არ ამძიმებთ სტერეოტიპები და გულახდილად მსჯელობენ ისეთ საკითხებზე, რომელთაც ადრე ტაბუ ედოთ. ამიტომაც მე მივესალმები მსგავს წამოწყებებს და ყოველთვის დავუჭერ მხარს...

მერაბ გეგელია პირველივე დღიდან თანამშრომლობს საბჭოსთან.

„მე საკრებულოს წევრი ვიყავი, როცა ფონდ „სოხუმსა“ და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მაშინ მე მხარი დავუჭირე ამ თანამშრომლობას, რადგან ფონდის საქმიანობას ვიცნობდი. მაშინ ფონდი „სოხუმი“ მოკრძალებული, თუმცა საკმაოდ აქტიური და ამბიციური ორგანიზაცია იყო, რომელიც თანდათან იზრდებოდა და ფართოვდებოდა. შემდეგ საკრებულოში გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შექმნის ინიციატივა გაჩნდა. შემიძლია ვთქვა, რომ დაარსების დღიდან ვარ საბჭოს წევრი“.

როგორც გაირკვა, მანაც კი არ იცოდა მაშინ სიტყვა „გენდერის“ მნიშვნელობა.

ბადრი კალანდარიშვილი

მერაბ გეგელია

კობა კილასონია

„ვაღიარებ, თავიდან მე თვითონაც არ ვიცოდი ამ სიტყვის არსი. თავიდან გენდერული საბჭოს საქმიანობას უფრო ინფორმაციული ხასიათი ჰქონდა. მე კი მეტი ინფორმაციის მიღების, გენდერულ საკითხებში მეტად გარკვევის სურვილმა გადამაწყვეტინა, ამ საბჭოს წევრი გავმხდარიყავი. ვესწრებოდი სხდომებს, ვმონაწილეობდი ტრენინგებში, ვორკშოპებში, თანდათან ვეცნობოდი გენდერულ თემებს - რაც უკავშირდებოდა თანასწორობის პრინციპებს, კვლევის ჩატარების სპეციფიკას, ოჯახში ძალადობის პრევენციას, გენდერულ ბიუჯეტირებას. ასე დაგროვდა ცოდნა, ინფორმაცია, გამოცდილება.“

მერაბ გეგელიას მიაჩნია, რომ გენდერული სტერეოტიპი ფართოდ ფესვგადგმული ფენომენია საქართველოში და ეს თემა საკმაოდ აქტუალური და მნიშვნელოვანია სენაკისთვისაც.

„მე გავიხსნებ ჩვენს მიერ განხორციელებულ პროექტს „ოჯახში ძალადობის პრევენცია სენაკის მუნიციპალიტეტში“. სანამ მუშაობას ჩავატარებდით, საბჭომ გამოითხოვა ინფორმაცია სენაკის რაიონული სასამართლოდან. აღმოჩნდა, რომ სასამართლომ 2015 წელს 25 ძალადობის შემაკავებელი ორდერი გასცა. 22 შემთხვევაში ქალი იყო მსხვერპლი, ხოლო 3 შემთხვევაში - კაცი. ეს ინფორმაცია გახდა ზემოთ აღნიშნული პროექტის საფუძველი. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ხალხისთვის მიგვეწოდებინა ინფორმაცია გენდერულ თანასწორობაზე, ძალადობისგან თავდაცვის კანონიერ მექანიზმებზე. ჩვენ გვინდა, ორივე სქესის წარმომადგენელმა იცოდეს, რომ მათ ძალადობისგან იცავს კანონი. თავიდან ძალიან გაგვიჭირდა ამ თემებზე მუშაობა, თუმცა შემდეგ ადამიანები გაიხსნენ და გარკვეული გამოხმაურებაც იყო. სენაკის მუნიციპალიტეტის თოთხმეტივე თემში შეიქმნა საინიციატივო ჯგუფები, რომლებსაც ფონდი „სოხუმის“ მწვრთნელებმა ჩაუტარეს ტრენინგი და ისინი თავიანთ სოფლებში აგრძელებენ საქმიანობას. ეს ჯგუფები ჩვენ იმიტომ შევქმენით, რომ სოფლებში ჩვენი ჩასვლა არ ყოფილიყო ერთჯერადი ხასიათის და ადამიანებს ადგილზე შეძლებოდათ გარკვეული ინფორმაციის მიღება. ჩვენ ვაგრძელებთ სოფლის საინიციატივო ჯგუფებთან კოორდინირებულ მუშაობას...“

სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი აცხადებს, რომ მუშაობა ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან უკვე თავად საზოგადოებისგან მოდის ინიციატივები. „ხალხმა მოგვმართა თხოვნით, რომ სოფლების საბავშვო ბაღებში განვახორციელოთ პროექტი სამოქალაქო განათლების ამაღლების კუთხით გენდერულ საკითხებზე, რასაც ვაპირებთ კიდეც დავიწყოთ აგვისტოში - ასეთი პროექტი წარმატებით განხორციელდა ქალაქის საბავშვო ბაღებში“.

განსაკუთრებულ მიღწევად მიიჩნევს „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებას, რომლის თანახმადაც იქმნება მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოები, რომელთაც დაამტკიცებს საკრებულო:

„ეს ჩვენი მუშაობის ნაყოფია. კანონში ეს ცვლილება ფონდი „სოხუმის“ იმ პროექტმაც განაპირობა, რომელიც წარმატებით განხორციელდა ქუთაისში, ოზურგეთში და სენაკში. თუ გავიხსენებ პერიოდს, როცა „გენდერის“ მნიშვნელობა არ იცოდა საზოგადოებამ და ეს სიტყვა შიშთან, გაურკვევლობასთან, რაღაც არასასიამოვნოსთან ასოცირდებოდა, ახლა მიდგომა შეიცვალა. ადამიანებმა დაინახეს, რას ნიშნავს გენდერული საჭიროებების კვლევა, ყველა საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება ბიუჯეტში, გენდერული ბიუჯეტი და გენდერული პოლიტიკა, რომლის დანერგვასაც სწორედ ჩვენ, საბჭოს წევრებმა შევუწყვეთ ხელი ამ სამი წლის მანძილზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა დაინახეს გენდერული თანასწორობის მიღწევის საჭიროება. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალ არჩევნებში მეტ ქალს მისცემენ ხმას, მეტი ქალი იქნება ჩართული საზოგადოებრივ საქმიანობაში, პოლიტიკაში და უფრო მეტი პოზიტიური შედეგები გვექნება. მე ვაპირებ, განვაგრძო საქმიანობა ამ საბჭოში და გეტყვით - მომავალ პროექტამდე!“

„სენაკის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან დაარსებისთანავე ვთანამშრომლობდი, რაც უფრო ინტენსიური გახდა 2014 წელს გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდგომ“, - ამბობს კობა კილასონია.

ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი, ცდილობს, მუდმივად ჩართული იყოს ყველა ღონისძიებაში, რომელსაც სენაკის გენდრული საკონსულტაციო საბჭო გეგმავს.

ბატონი კობა გულახდილი და ენაწყლიანი რესპონდენტი აღმოჩნდა. მან ჩვენთან საუბარში

თქვა, რომ ამა თუ იმ პროექტის საზოგადოებრივ მნიშვნელობაზე და მისი განხორციელების აუცილებლობაზე ბევრს ფიქრობდა:

„თავდაპირველად თავად უნდა დავრწმუნებულიყავი, რამდენად გამართლებული იქნებოდა წარმოდგენილი პროექტის განხორციელება ჩვენს მუნიციპალიტეტში, რეალურად რამდენად იყო ამის საჭიროება ჩვენს საზოგადოებაში და რა დადებითი შედეგების მოტანა შეეძლო გრძელვადიან პერსპექტივაში. მხოლოდ ამის შემდგომ აქტიურ ლობირებას ვუწევდი სხვადასხვა პროექტისთვის საჭირო ფინანსების მოძიების საკითხს. ყოველთვის ვცდილობდი, არგუმენტირებული მოსაზრებებით მომეპოვებინა საკრებულოს წევრთა მხარდაჭერა, რასაც უმეტესწილად წარმატებით ვართმევდით თავს საბჭოს წევრ კოლეგებთან ერთად. აქვე აღვნიშნავ, რომ სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭო დაკომპლექტებულია სხვადასხვა სფეროში მოღვაწე საინტერესო პიროვნებებისგან, რომლებიც მუდამ არიან მზად, სრულიად უშურველად შეიტანონ თავიანთი წონადი წვლილი საბჭოს სხდომებზე წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაჭრის საქმეში", - აცხადებს კობა კილასონია.

სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრს მიაჩნია, რომ გენდერული ძალადობა პირდაპირ კავშირშია არსებულ გენდერულ უთანასწორობასთან. საზოგადოებაში განათლების დაბალი დონე და დაბალი სოციალური სტატუსი მნიშვნელოვნად განაპირობებს ძალადობას ქალის მიმართ. მიუხედავად იმისა, რომ ფონდი „სოხუმი" ამ საკითხზე დიდი ხანია სენაკში მუშაობს (არსებობს ქალთა მხარდაჭერის ცენტრიც და გენდერული საკონსულტაციო საბჭოც), მაინც ადრე ჰგონია საუბარი რაიმე ძირეულ ცვლილებებზე. მისი აზრით, უპირველესად საჭიროა საზოგადოების ინფორმირებულობის და გარკვეული ცოდნის გავრცელება როგორც ზოგადად გენდერული თანასწორობის საკითხებზე, ასევე ოჯახური ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით.

ბატონი კობა აღნიშნავს: „უკანასკნელ წლებში განხორციელებული პროექტების, ტრენინგების, ვორკშოპების შედეგად საზოგადოების ნაწილს წარმოდგენა შეექმნა გენდერული თანასწორობის პრინციპებზე. უნდა აღვნიშნო, რომ თავდაპირველად საკრებულოში გენდერული თანასწორობის საკითხებისადმი ადამიანების გარკვეული ნაწილის ინდიფერენტული, გულგრილი დამოკიდებულება შეინიშნებოდა. თუმცა თანდათანობით ასეთი მიდგომა შეიცვალა. განსაკუთრებით ბოლო წლებში მომრავლებულმა ოჯახური ძალადობის ამაზრზენმა შემთხვევებმა თვალნათელი გახადა ამ მიმართულებით არსებულ პრობლემათა ფართო სპექტრი. მძიმე სოციალური ფონი, უმუშევრობა, განათლების და ელემენტარული ცოდნის არქონა გენდერის საკითხებში დიდწილად განაპირობებს სახელმწიფოს მთავარი საყრდენის - ოჯახის ნგრევას, კონფლიქტურ გარემოში მცხოვრები მოზარდების მძიმე ფსიქოემოციურ მდგომარეობას და სხვა უარყოფით შედეგებს იძლევა საბოლოოდ".

იგი მიიჩნევს, რომ ქალებმა წამყვანი პოზიციები უნდა დაიკავონ: „ფუნდამენტურ საკითხებში სრულიად ვიზიარებ გენდერული თანასწორობის პრინციპებს. მივესალმები, რომ რაც შეიძლება მეტი ქალბატონი იყოს გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე, რომ მეტმა მათგანმა შეძლოს საკუთარი ნიჭისა და უნარ-ჩვევების სრულფასოვანი რეალიზება სოციუმში. ბოლო დროს ამ კუთხით მრავალი ორგანიზაცია ეწევა საქმიანობას მეტნაკლები წარმატებით. სახელმწიფო სტრუქტურებიც მეტ ყურადღებას უთმობენ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს - იქნება ეს საარჩევნო სიების შედგენისას გენდერული კვოტირება თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გენდერული საბჭოების შექმნა".

კობა კილასონია განსაკუთრებით იხსენებს სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ორ პროექტს - ერთი, რომელიც მიზნად ისახავდა ქ. სენაკის ბაგა-ბაღებში პედაგოგების და აღსაზრდელთა მშობლებისთვის სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას გენდერის, ძალადობის ფორმებისა და ეკოსანიტარიის საკითხებზე. მეორე კი - მუნიციპალიტეტის სოფლებში განხორციელებული პროექტი ოჯახური ძალადობის პრევენციის საკითხებზე. ამბობს, რომ საზოგადოებისთვის გენდერული საკითხების უკეთ გაცნობამ, ინფორმაციის მიწოდებამ მენტალიტეტში ძირეული ცვლილებები ვერ მოახდინა, ამიტომ აუცილებელია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა კიდევ უფრო აქტიურად გაგრძელდეს.

„ამჟამად უფრო ვარ მოწადინებული, რომ მეტად იყოს ინფორმირებული მოსახლეობა. გარკვეული გამოცდილების შეძენის შემდგომ მიმაჩნია, რომ მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტებს ჰქონდეთ გენდერული სტრატეგია ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით გრძელვადიანი პერიოდისთვის. უნდა შეიქმნას ინფორმაციული ბაზა - გენდერული სტატისტიკა, აუცილებელია უწყვეტი განათლების სისტემის შექმნა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებიდან უნივერსიტეტის ჩათვლით, მიზანმიმართული ღონისძიებებია გასატარებელი საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად, - ამბობს ბატონი კობა.

ჩვენი რესპონდენტი ყოველთვის აქტიური იყო, მაგრამ, როგორც ამბობს, საკონსულტაციო საბჭოს წევრობამ კიდევ უფრო გაზარდა მისი სამოქალაქო აქტივობა.

ბატონმა კობამ ინტერვიუს ბოლოს გვითხრა: „მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უღრმესი მადლობა გადავუხადო ფონდი „სოხუმის" მთელ კოლექტივს გაწეული უზარმაზარი სამუშაოსათვის, პროფესიონალიზმისათვის და უბრალოდ კეთილ საწყისებზე დამყარებული ადამიანური ურთიერთობისათვის. ვიმედოვნებ, ეს ორგანიზაცია შემდგომშიც წარმატებით გააგრძელებს საქმიანობას".

მარი შონია

ტელეკომპანია „ეგრისის" ჟურნალისტი - სპეციალურად ჩვენი ჟურნალისთვის

მამუკა მღვდელაძის გენდერული მონოლოგი

მოვალეობიდან-პასუხისმგებლობამდე

ჩემი, მამუკა მღვდელაძის და გენდერული თემატიკის ურთიერთობა მოვალეობის მოხდის მიზნით დაიწყო.

პირველად ეს მოვალეობა 2003 წლის დასაწყისში ამერიკაში მოვიხადე, სადაც გამოცდილების გაზიარების მიზნით, 10 ქართულ არასამთავრობოსთან ერთად მასაჩუსეტის შტატის სხვადასხვა ამერიკულ ორგანიზაციას ვსტუმრობდით. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია გენდერულ თემატიკაზე მუშაობდა, რომელმაც პროექტები გაგვაცნო და გვაჩვენა მათი ძალისხმევით მოწყობილი თავშესაფარი. ამ ყველაფერს ერთი დღე დაეთმო და ეს დღე დიდად არ გამომირჩევია იმ ერთთვიანი პროგრამიდან.

შემდგომ პერიოდში, ჩემი არასამთავრობო და პოლიტიკური მოღვაწეობისას, იყო რიგი ფრაგმენტული მოვალეობები: როცა გენდერის თემაზე რამე გაიელვებდა და ჩავერთვებოდი, ან რომელიმე ანგარიშის გაცნობისას, მრგვალ მაგიდაზე, სემინარზე ან სატელევიზიო ეთერში მონაწილეობისას მოსაზრებებს გამოვთქვამდი.

ბოლო მოვალეობის მოხდას 2013 წლის ბოლოს ვაპირებდი, როცა, როგორც ქუთაისის საკრებულოს წევრი, ჩავერთე გენდერულ საკონსულტაციო საბჭოში, მაგრამ აქ „შევტოპე" და მოვალეობის მოხდის მიზნით დაწყებული ჩართულობა უკვე გარკვეულ პასუხისმგებლობაში გადამეზარდა...

მოკლედ გენდერზე

გენდერი – ეს არის ტერმინი, რომლის გაგონებაც ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს, ზოგჯერ უხერხულსაც. მინდა მარტივად განვმარტო, რომ ეს თითქმის იგივეა, რაც ჩვენმა სასიქადულო მოღვაწემ - შოთა რუსთაველმა, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში თქვა: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია". ამ ძველი, მაგრამ მარტივი ჭეშმარიტების დამკვიდრებას, თქვენ წარმოიდგინეთ და, 21-ე საუკუნეშიც სჭირდება ჩვენში ძალისხმევა. აი, რატომაა საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არაადეკვატური რეაქციები. თუმცა თუ ამ ფრაზით შოთამ XII საუკუნეში თქვა ყველაფერი, ამ კუთხით ჩვენც გვმართებს დღეს ჩვენი წილი სიტყვა და საქმე.

სიტყვა და საქმე

გენდერული მგრძნობელობის გაზრდის კუთხით კონკრეტული, ვიწრო სამიზნე არ არსებობს. სამუშაოა როგორც ხელისუფლებასთან, ასევე საზოგადოებასთან. სწორედ ასეთი მისია დაისახა ფონდმა „სოხუმმა", როცა პროექტის განხორციელება დაიწყო ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად. საზოგადოების და ხელისუფლების წარმომადგენლების შერეული შემადგენლობით შეიქმნა გენდერული საკონსულტაციო საბჭო. მისი მიზანი დაფუძებიდანვე გახდა გენდერული თემატიკის პოპულარიზაცია. მართალია, შემადგენლობა საკმაოდ ინტელექტუალური პიროვნებებით დაკომპლექტდა, თუმცა დასაწყისში მათთვისაც მნიშვნელოვანი გახდა თემის გააზრება და სტრატეგიის განსაზღვრა.

პირველი ნაბიჯები

საბჭოს წევრებმა საქმიანობა თვითგამორკვევით დავიწყეთ. შევუდექით იმის გაცნობიერებას, თუ რა იყო გასაკეთებელი? რა ფორმების გამოყენებით? როდის? ვისთვის? და ვისთან ერთად?

გამოწვევას ისიც აძლიერებდა, რომ ზუსტი რეცეპტი არ არსებობდა - ანუ გზა მთლიანად გასაკვალავი იყო.

თვითგამორკვევაში საკმაოდ დაგვეხმარა სწორად დაგეგმილი სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები, რომელთა დახმარებითაც განისაზღვრა ძირითადი მისია, მიზნები, მიზნობრივი ჯგუფები, პრიორიტეტები და დაიგეგმა სტრატეგია.

სიტუაციის მეტი ანალიზისთვის მოეწყო კვლევები, რომლებიც თითქმის ყველა იმ სფეროს მოიცავდა, რაც ქუთაისის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. სფეროები საბჭოს წევრებმა კომპეტენციის ფარგლებში გავინაწილეთ. მიღებული ინფორმაცია გაანალიზდა,

დამუშავდა და შეიქმნა სამოქმედო გეგმა, რომელიც ყოველგვარი ტენდენციურობის გარეშე წარმოადგენდა ოთხწლიან სამოქმედო გეგმას. პარალელურად მსგავსი საქმიანობები, ქუთაისის გარდა, დასავლეთ საქართველოს კიდევ 3 ქალაქში (ბათუმი, ოზურგეთი, სენაკი) მიმდინარეობდა.

ჩვენ – ოთხმა რეგიონმა - ფონდი „სოხუმის“ დახმარებით შევძელით შემუშავებული დოკუმენტების ერთობლივი განხილვა, გამოცდილების და იდეების გაზიარება. საბოლოოდ მიღებული ჩარჩო-მოდელი წარედგინა ადგილობრივ ხელისუფლებებს. ამასთან ერთად, ის თემები, რომლებიც საკანონმდებლო რეგულაციებს მოითხოვდა, პარლამენტში გაეცნო პარლამენტის გენდერულ თემატიკაზე მომუშავე ჯგუფს, ქალბატონ მანანა კობახიძისა და ქალბატონ ეკა ბესელიას ხელმძღვანელობით.

მოვალეობიდან - პასუხისმგებლობამდე

საქმიანობის ზოგადი აღწერებიდან რამდენიმე კონკრეტულ თემაზე მინდა გადავიდე, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ჩემთვის მოვალეობიდან პასუხისმგებლობისკენ მიმავალ გზაზე.

1. ჯანსაღი ადამიანური ურთიერთობები

საბჭო დაკომპლექტებულია პროფესიონალი ადამიანებით. წარმოდგენილია როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე არასამთავრობო სექტორი და მასმედია. გარემო სრულად აპოლიტიკური და ობიექტურია;

2. ქსელური მუშაობა

პროექტში ჩართულ სხვა რეგიონებთან და ქალაქებთან ერთად ქსელური მუშაობა უფრო საინტერესოს ხდიდა ჩვენს საქმიანობა. აქ ადამიანური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად, იზრდებოდა ჩვენი შესაძლებლობებიც. ფარული, მაგრამ საჭირო კონკურენცია უფრო ინოვაციურს და მოტივირებულს გვხდიდა;

3. კვლევა – ქალი და ქუთაისის ეკონომიკა

ამ კვლევით გამოირკვა, რომ ქუთაისში მცირე და საშუალო შემოსავლიანი ოჯახების 2/3-ს ქალები ასაზრდოებენ, რომელთა შრომა, ძირითადად, დაბალკვალიფიციური და რთულია. მათი უმეტესობა უცხოეთიდან გზავნილებით და ვაჭრობით ახერხებს ამას. გამომდინარე ამ რეალობიდან, მამაკაცებს მეტი პასუხისმგებლობის აღება გვევალება;

4. შეხვედრა პარლამენტში

პარლამენტში შეხვედრამ თავისი ერთი შედეგი უკვე მოიტანა – მიღებულია კანონი გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შესახებ. თუმცა დარჩა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი და სამომავლოდ გადასაჭრელი საკითხი: ქალის და მამაკაცის საპენსიო ასაკის გათანაბრება 60 წელზე. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რომლის გადასაჭრელადაც მუხლჩაუხრელ შრომას ვაპირებ მომავალში თანამოაზრეებთან ერთად;

5. საგანმანათლებლო-შემეცნებითი შეხვედრები ქუთაისის ბაღებში

ქალაქის უბნების მიხედვით, 10 ბაღის თანამშრომლებისთვის ჩატარებულმა შეხვედრებმა, რომელსაც პირადად ვუძღვებოდი, ბევრი საინტერესო საკითხი გამოკვეთა. რაც მთავარია, გაანალიზებული ინფორმაცია ყოველგვარი შელამაზების გარეშე გავრცელდა არასამთავრობოებსა და ჟურნალისტებში, მიეწოდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს. აღსანიშნავია, რომ იქ წამოწეული საკითხებიდან უკვე რამდენიმე გვარდება (მაგალითად: სამრეცხაოებში ცხელი წყლის პრობლემა, არასათანადო სივრცეების გასაზრდელად რიგ ბაღებზე ხდება მიშენება-რეკონსტრუქციები და სხვა), თუმცა პრობლემად კვლავ რჩება ატრაქციონების და სათამაშოების ნაკლებობა და სხვა. აქაც შემდგომი თანამშრომლობა და ჩართულობაა საჭირო;

6. გენდერული ბანაკი ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის

2015 წელს, 40 მოზარდისთვის მოწყობილი ბანაკი საკმაოდ საინტერესო იყო როგორც ბავშვებისთვის, ასევე პირადად ჩემთვის. მოგვიანებით, როცა სხვა შეხებებიც მქონდა ბავშვების და ახალგაზრდების თემატიკასთან (გენდერული სპექტაკლი 4-9წწ, მოზარდთა ბანაკი 10-17წწ, ახალგაზრდული კონფერენცია 18-22წწ), სრულად დავასკვენი, რომ მთავარი სწორედ ადრეული ასაკის წარმომადგენლებთან მუშაობაა და ყველაზე მეტ შედეგს სწორედ მათთან აღწევ;

7. ახალგაზრდული კონფერენცია გენდერულ თემებზე

ძალიან გულწრფელი და მიგნებული კონფერენცია მოაწყვეს ახალგაზრდებმა ქუთაისის უნივერსიტეტში. სწორად გამოტანილი თემების გარდა ამ კონფერენციიდან ასევე ნათლად ვიგრძენი, რომ ახალგაზრდების ჩართულობის გარეშე ეს თემა პრაქტიკაში ვერ იმუშავებს. ამ საუკეთესო რესურსთან დიდი სამუშაოა გასაწევი. რაც მთავარია, უნდა მოხდეს მათი გააქტიურება და ჩართულობა;

8. გენდერული სპექტაკლი

ეს ინოვაციური იდეა ახლა ხორცშესხმის სტადიაშია და, დარწმუნებული ვარ, კარგ შედეგს მოიტანს ბავშვებისთვის, ადრეულ ასაკში გენდერული მგრძნობელობის ფორმირების საქმეში. პროექტის მიხედვით (რომლის ანალოგი ჯერ არ არსებობს), მზადდება ჩრდილების სპექტაკლი პატარებისთვის გენდერული თემატიკით. ამ ზღაპრის სპექტაკლით, 4-9 წლის ბავშვებს სახალისო მეთოდით მიეწოდებათ ინფორმაცია გენდერსა და გენდერულ თანასწორობაზე;

9. საკანონმდებლო რეგულაციით გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნა ქვეყნის მასშტაბით

ამ კანონის მიღებამ უფრო მეტი პასუხისმგებლობა დაგვაკისრა საბჭოს უკვე გამოცდილ წევრებს, რათა ქვეყნის მასშტაბით, რაც შეიძლება მოკლე დროში გამოცდილება გავუზიაროთ საკრებულოს ახალი გენდერული საბჭოს წევრებს.

ასე, რომ სტარტი აღებულია. ველით საზოგადოების მხარდაჭერას!

ნინო ნიკოლაიშვილის გენდერული მონოლოგი

ამბობენ - მაშინ სხვა დრო იყოო.

ადამიანთა ცნობიერება დროთა ბრუნვაში იცვლება თუ, თავად ადამიანები ცვლიან დროში შეხედულებებს?

დრო იცვლება, უფრო სწორად, ადამიანები მიდი-მოდიან დროში, ყველა თავისი საქმით, ფიქრებითა და შეხედულებებით დატვირთული. მერე ცდილობენ ერთმანეთის დატვირთვას, ასე გრძელდება და... აქვე ვაგრძელებ ინტერვიუს საკუთარ თავთან, რომელიც არაერთხელ გამიკეთებია.

არ მოვყვები ექსკურსს საუკუნეების მიღმიდან გენდერული თემატიკის ირგვლივ. რაღაცებს ტრადიციებს ვაბრალებთ და, ტრადიციებს ვინ ამკვიდრებს, ადამიანები ხომ არა? მერე ამ ტრადიციების წინააღმდეგ დინება? ყველაფერი ბუნდოვანი იქნებოდა, ლოგიკურ ჩარჩოებში რომ არ ექცეოდეს აზროვნებაც და თავად ლოგიკაც.

- რა შეიცვალა შენში, ან რაიმე შეიცვალა კი? (არაეთიკურობაში ნუ ჩამომართმევთ, შენობით მიმართვის უფლებას ვუტოვებ თავს) - პირველი კითხვა, რითაც მივმართე ჩემს რესპონდენტს და პასუხიც ასეთი მივიღე:

- ჰოც, და არაც. არა იმიტომ, რომ ამავე საწყისით ჩემში არსებობდა ბევრი რამ, რაზედაც ახლა ხმამაღლა საუბრობენ. ჰო იმიტომ, რომ გამოხატვის ფორმა შეიცვალა, დამაჯერებელი და სწორედ ლოგიკასთან უფრო ახლოს მყოფი.

შორეულ დროს გამოვექეცი და ახლო წარსულს ვერა. პოლიტიკოსი ქალბატონები გამახსენდა - მკაცრი ჩაცმულობით, მკაცრი, ძლიერი გამომეტყველებით (რატომღაც სიმკაცრე და ძლიერება მამაკაცებთან ასოცირდებოდა). ასე ითხოვდა საზოგადოებაც? პასუხი სხვადასხვაგვარია და საკამათო, იმდენი, რამდენი ფიქრიც არის მიმართული ამ თემატიკისკენ. კამათში იბადება ჭეშმარიტება? ვისთვის კი, ვისთვის არა. ამდენ ფიქრსა და კითხვა-პასუხში კვლავ ერთი შეხვედრა გამახსენდა, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამართული. კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ შეხვედრაზე იწვევდა საზოგადოების წარმომადგენლებს. მაშინ ამ შეხვედრაზე ჟურნალისტის რანგით ვიყავი მისული. მთავარი კითხვით - არის თუ არა პოლიტიკა ქალის საქმე? დისკუსია მწვავე დაპირისპირებამდე მივიდა. იმ დღის ფრაზა - პოლიტიკა ბინძური საქმეა, პოლიტიკოსს მუდმივად დანის წვერზე უწევს სიარული. ქალს აქ რა უნდა (მსესხებელ - ავტორი მამაკაცი). მეორე შეხვედრა, თემა იგივე. ფრაზა - ევას ნაშიერები ხართ, რატომ გაქვთ ამდენი პრეტენზიები.

დაჯექით სახლში და მიხედეთ ოჯახს (ტექსტი უცვლელი, ავტორი - ქალი).

შეხვედრები კვლავ იმართებოდა. ამ ხანში ფონდი „სოხუმი“ ჩვენთვის ძალიან ახლობელი და საინტერესო გახდა. ეს არ იყო მხოლოდ პარტნიორული ურთიერთობები. ვთვლი, რომ ეს ერთი დიდი ოჯახი იყო და არის დღესაც.

ნაბიჯ-ნაბიჯ ვერ ჩამოვთვლი ფონდის ბიოგრაფიულ შტრიხებს და დამსახურებას, მიუხედავად იმისა, ბევრი რამ კარგი ვიცი მის შესახებ. ჩემი აზრით, მთავარი ის არის, რომ საკუთარ საშობლოში დევნილად ქცეულმა სოხუმელ ქალთა გუნდმა, ქალბატონ ალლა გამახარიას ხელმძღვანელობით, ახალ ქალაქში თავიდან დაიწყო არა მხოლოდ თავის დამკვიდრება, სხვათა გაძლიერებაზე ზრუნვა. მშობლიური ქალაქის სიყვარული ტერმინად ჩაამკვიდრა ორგანიზაციის სახელწოდებაში. ფონდი „სოხუმი“ და სოხუმელები - ნოსტალგიაც და ახლის ძიების ინტერესიც.

დასავლეთ საქართველოს რამდენიმე ქალაქში, მათ შორის ოზურგეთში შეიქმნა ფონდთან არსებული ამომრჩეველ ქალთა კლუბი. ყველას თავისი ინდივიდუალური სახე და ნიშა ჰქონდა. საინტერესო გასვლითი თუ ადგილობრივი შეხვედრები, გამოცდილებათა გაზიარება.

კლუბში მართლაც აქტიური ქალბატონები შეიკრიბნენ. ჩემი, როგორც ჟურნალისტის, დამოკიდებულება ამ საკითხების მიმართ, უფრო მგრძნობიარე გახდა. გაზეთ „ალიონში“ არაერთი სტატია და რეპორტაჟი მოვამზადეთ კლუბის მუშაობაზე. ნელ-ნელა გაფართოვდა მედიასთან დამოკიდებულების არეალი. ჩემი კოლეგებიც ჩაერთნენ ფონდ „სოხუმთან“ თანამშრომლობაში. მეტიც, ჩემი კოლეგა გიორგი გირკელიძე გენდერული მედიაცენტრის გურიის ორგანიზაციას ხელმძღვანელობს.

გაძლიერდნენ ქალთა წარმომადგენლები. თანდათან დაიხვეწნენ, როგორც პოლიტიკოსები. ჯეროვნად დაიმსახურეს თავიანთი ადგილები ადგილობრივ თვითმმართველობაში. სხვადასხვა სამსახურებრივ თანამდებობაზე. პარალელურად კვლავ აქტიურად მუშაობდა კლუბი კულტურულ, შემოქმედებით, სოციალურ, ადვოკატირების საკითხებზე. სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების მიუხედავად, ურთიერთპატივისცემითა და ურთიერთთანადგომით გამოირჩეოდნენ ჩვენი კლუბის წევრები. ბევრი ლამაზი ღონისძიება და შეხვედრაა კლუბის ბალანსზე და საზოგადოების კარგი დამოკიდებულება კლუბელების მიმართ. წლები გავიდა და წლების განმავლობაში არაერთი წინააღმდეგობა, სირთულეც და წარმატებაც, ერთდროულად მუშაობდა. როგორც ჩანს, „სოხუმელთა“ ნდობაც დავიმსახურეთ. საქართველოში პირველად, სამ ქალაქში, მათ შორის ოზურგეთში, საკრებულოებთან შეიქმნა გენდერული საკონსულტაციო საბჭო. პარალელურად აგრძელებს კლუბი მუშაობას. კლუბის მიერ მოძიებულ საკითხებს საკონსულტაციო საბჭო უწევს ლობირებას საკრებულოში. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან, სამხარეო ადმინისტრაციასთან. ეს არ იყო მხოლოდ მემორანდუმი. ადგილობრივ ხელმძღვანელთა ფინანსური მხარდაჭერითა და ფონდის თანადაფინანსებით, არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა გურიაში. მათ შორის ახალგაზრდების აქტიური ჩართულობით. მეტიც, მათივე მონაწილეობით შეიქმნა ალტერნატიული ახალგაზრდული საკრებულო, რომლის ხელმძღვანელი სალომე ვადაჭკორია გახლავთ. საინტერესო იდეებით დატვირთულნი, მოსვენებას არ აძლევენ ახალგაზრდები უფროს თაობას. მიმდინარეობს მუშაობა პროექტზე „კიბო განაჩენი არ არის“.

წლებისწინანდელი პერიოდი შემთხვევით არ გამიხსენებია. არც ის ფრაზები მომიყვანია ტყუილუბრალოდ. მაშინდელი ფონი და ამჟამინდელი უნდა შევადარო ერთმანეთს. პოლიტიკა არ არის იოლი საქმე. და მიუხედავად ამისა მაინც, გაიზარდა პოლიტიკოს ქალთა რაოდენობა. საქართველოს მასშტაბით, ოზურგეთი ერთ-ერთი პირველია გენდერული ბალანსით. ეს გადაწყვეტილებებშიც აისახება. პოლიტიკოსობისთვის არ არის საჭირო მკაცრი სახე და ძლიერი გამომეტყველება. პოლიტიკურ რინგზე ძლიერება ძალაში არ მდგომარეობს. ძლიერება სულ სხვა რამეა და ის სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებებია.

კითხვა-პასუხის რეჟიმი მონოლოგში გადამეზარდა. ვუბრუნდები კითხვას: იმ ფრაზების ავტორთა ფიქრებში ნეტავი შეიცვალა რაიმე?

- ვინ როგორ იფიქრებს, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა. მოდური გამონათქვამია - ისე უნდა მოიქცე, საკუთარ თავთან იყო მართალი. და მერე ყველას თავისი სიმართლე რომ აქვს.

- თავად სიმართლესთან რომ ვიყოთ მართალი?

თითქოს დავასრულე თემა, მაინც კრიტიკული უნდა ვიყო ქალთა მიმართ. როცა გენდერულ ბიუჯეტზეა საუბარი, ქალი რომ ხშირად ვერ ანაწილებს ამ მიმართებით საკუთარი ოჯახის ბიუჯეტს, მისივე მზრუნველი ბუნებიდან გამომდინარე? ესეც თუ ნაკლია, იყოს ნაკლი. ვთხოვოთ ფონდს აქაც დახმარება. ესეც ახალი იდეა.

შორენა დავითაიას გენდერული მონოლოგი

მოკრძალებული პატივისცემით მინდა დავიწყო საუბარი ჩემს ცხოვრებაში ფონდი „სოხუმის“ შემოსვლის შესახებ. 2015 წლის სექტემბერი იყო. მობილურ ტელეფონზე დამირეკა პროექტის ასისტენტმა თეა თორინავამ და შემომთავაზა, მემუშავა სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს იურისტად. რეკომენდაცია ჩემთვის უძვირფასესმა ქალბატონმა, საბჭოს თავმჯდომარემ ნანა ალანიამ გამიწია. ძალიან მესიამოვნა. როგორ შეიძლებოდა, ეს შანსი ხელიდან გამეშვა, რა თქმა უნდა, დავთანხმდი...

პიროვნული „მე“ შეუვალი ციხესიმაგრეა ზოგისთვის, ზოგისთვის კი - პირიქით. მობილიზებული და ლიდერული უნარ-ჩვევებით გაძლიერებული ქალები მზად არიან, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მათ შორის მე - შორენა დავითაიაც მზად ვარ, ჩემი წვლილი შევიტანო გენდერული საბჭოს საქმიანობაში.

ყოველდღიურ სინამდვილესთან მიხდება გარკვეული ურთიერთობის დამყარება, ვიბრძვი სხვათათვის და ჩემი თავისთვისაც. თემატიკა, რომელიც ფონდს ჰქონდა სამუშაოდ განსაზღვრული, ჩემი სულის ნაწილია. სტერეოტიპები, რომლებიც საქართველოში და არა მარტო საქართველოში სერიოზულ გამოწვევად რჩება, გენდერული თანასწორობაა და ამაში ჩემი პატარა წვლილის შეტანა მახარებს და ორმაგად მიძლიერებს ბრძოლის უნარს.

თორმეტწლიანი საადვოკატო საქმიანობის გამოცდილება მაქვს. მუდმივად სხვების ცხოვრებაში ვიხედები, ხშირადაც მიწევს მათი დაცვა უთანასწორობით გამოწვეული პრობლემების მოგვარებაში. მაქვს პატივი, წაქცეული ფეხზე წამოვაყენო და ვუთხრა, „ცხოვრება გრძელდება!“ მიუხედავად ამდენი გამოცდილებისა, ამ ერთწლიანმა მუშაობამ დამანახა, რომ გენდერული პრობლემა „ლეკვი ლომისა სწორიას“ ეპოქის გამოძახილია და საუკუნეებს უძლებს. პიროვნული „მე“ უდიდესი პრობლემის წინაშეა დღევანდელ რეალობაში. ფონდი „სოხუმის“ დახმარებით ბევრი ადამიანი ჩამოყალიბდა პრაქტიკული ქცევის ბაზაზე. ვგულისხმობ იმ გარემოებას, რომელმაც ხელი შეუწყო იმ მითის დამსხვრევას, რომელშიც ცხოვრობდა საზოგადოება - რომ ქალის მიმართ ძალადობა გამართლებული ქმედებაა. ფონდს დიდი წვლილი აქვს შეტანილი საქართველოში გენდერული თანასწორობის ინსტიტუციურ განვითარებაში, დასახული მიზნის მისაღწევად მას გააჩნია მისეული წარმატებული სტრატეგია.

როგორც საქართველოს ყველა კუთხეში, სენაკშიც ბევრი დევნილი ცხოვრობს. საკუთარ კერას მოშორებულ ადამიანებთან ურთიერთობა ფაქიზია. მაქვს შესაძლებლობა, გავიზიარო მათი გასაჭირი, შევხვდე, გავუწიო იურიდიული კონსულტაცია, დავეხმარო პრობლემების მოგვარებაში, დავუსახო რეალური შესაძლებლობები. საინფორმაციო შეხვედრები ფსიქოლოგიის ერთი გაკვეთილია, რადგან ყველა ინდივიდს სწავლობ და შემდგომ დასკვნას ინდივიდუალურად აკეთებ. საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც დღემდე შევხვედრივარ, თავიდანვე გენდერულ თანასწორობაზე ჰქონდა იმგვარი დამოკიდებულება, რომ ქალის თანასწორობა მამაკაცთან ყოვლად დაუშვებელია, ქალის ადგილი სამზარეულოშია და არა პოლიტიკაში და ქალის ერთადერთი მოვალეობაა ბავშვების გაზრდა. ბენეფიციარებს ვუხსნი, რომ მეც დედა ვარ და შვილს ვზრდი, აქტიურ ცხოვრებასაც ვეწევი და რომ სტერეოტიპები იცვლება კულტურასა და დროში. გენდერული სტერეოტიპი არის საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულება, გარკვეული ჯგუფები მას წარმოადგენენ განსხვავებულად და ხშირად - სინამდვილესთან შეუსაბამოდ. ჩემს მიერ შერჩეული ტაქტიკა მეხმარება, ზუსტად განვსაზღვრო და მივიტანო საზოგადოებამდე ის მიდგომა, რაც მასწავლეს ფონდი „სოხუმის“ თანამშრომლებმა.

ჩემი მუშაობის პერიოდში სენაკის გენდერულმა საბჭომ შეიმუშავა პროექტები ოჯახში ძალადობაზე და ვორკშოპებიც მოაწყო. ქალაქისა თუ სოფლების მოსახლეობამ გაიგო, რა არის გენდერი, ძალადობა, როგორ შეიძლება ზემოქმედებისგან თავის დაცვა, რომელი უფლებით არიან ისინი დაცულები და სახელმწიფო რას აკეთებს მათი ინტერესების განსახორციელებლად.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ფონდი „სოხუმი“ ჩემი წინგადადგმული ნაბიჯია,

რადგან მაძლევს შესაძლებლობას და მირჩევს მექანიზმებს ადამიანების დასახმარებლად. ვამაყობ, რომ რამდენიმე დევნილის პრობლემების მოგვარებაში შევიტანე წვლილი.

სიხარულს მანიჭებს და გამოცდილებას მიმდიდრებს ფონდის ორგანიზებით გამართული ქსელური შეხვედრები, ტრენინგები, კონფერენციები. ჩემთვის მნიშვნელოვანია ადვოკატირების პროცესები და მოგვარებული პრობლემები, დახმარების ხელის გაწვდენა, დაჩაგრულისთვის სიამაყის შეგრძნების დაბრუნება, წაქცეულის ფეხზე წამოყენება, უფლებაშელახულისთვის ღირსების აღდგენა, სოციალურად დაუცველისთვის მიმართულების მიცემა. ყველაზე მთავარი ადამიანისთვის მისი ინტერესების დაცვაა.

ასე და ამგვარად ვუფრთხილდები ადამიანების განწყობას სამყაროს მიმართ. ჩემი საქმიანი სამყაროს ნაწილია ფონდი „სოხუმი“ და მადლიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა, ჩემი მუხტი შემეტანა ამ აქტიური ორგანიზაციის მუშაობაში.

თეონა გოგიშვილის გენდერული მონოლოგი

2013 წლის შემოდგომის ერთ დღეს მობილურზე გაისმა ძალიან თბილი, სათნო, სანდომიანი ხმა, რომელიც შეხვედრას მთხოვდა ჩემთან, სამსახურში. იქვე განმიმარტა, რომ პროექტში ჩემი ჩართვა მნიშვნელოვნად მიაჩნდა. საუბრის შემდეგ დავფიქრდი, ვინ ვარ მე? რომელ პროექტში უნდა ჩავერთო და რა სარგებელი შემიძლია მოვუტანო?

შეხვედრა კიდევ უფრო თბილი და საინტერესო გამოდგა ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელ ნანა ჯიქიასთან. წარმოიდგინეთ, შემოთავაზება მთლიანად ენთუზიაზმზე იყო დაფუძნებული, თუმცა ისე მიმზიდველად წარმოაჩინა, რომ შეუძლებელი იყო, არ დათანხმებოდი. დარწმუნებული ვარ, სხვებიც ასეთივე გულწრფელად მიწოდებული ინფორმაციით ჩართო პროექტში. იმ დროისათვის გენდერზე საუბარი არა თუ ზოგადად საზოგადოებაში, არამედ საბჭოს წევრებშიც კი არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევდა.

ალბათ მიხვდით, საუბარია გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრობაზე. შეხვედრის შემდეგ ისევ იმავე კითხვებმა გამიელვეს თავში, თუმცა იქვე პასუხიც მქონდა - იმ დროისთვის ფონდი „სოხუმის“ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი ვიყავი, აღარც კი მახსოვს როდიდან. კლუბი მუშაობდა ქალთა გაძლიერებაზე პოლიტიკაში, გენდერულ ასპექტებზე, სოციალურ პრობლემებზე, ოჯახში ძალადობასა და მრავალ სხვა აქტუალურ თემაზე. ყოველივე ამას დაემატა ჩემი პროფესიული მრავალწლიანი გამოცდილება და.... ჩემი თავიც ვიპოვე საბჭოს მუშაობაში.

შედგა საბჭოს პირველი სხდომა. ეს იყო კარგი მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთი მიზნის ირგვლივ შეკრა ადგილობრივი საკრებულოს წევრები, განურჩევლად პარტიული ნიშნისა, განსხვავებული პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიასაშუალებების წარმომადგენლები, აქტიური ქალები და მამაკაცები, დევნილი და ადგილობრივი მოქალაქეები. ასე იქცა ამ პრობლემის გადასაჭრელად მიმართული ძალისხმევა მრავალი, სრულიად განსხვავებული ადამიანის გამაერთიანებლად. საბჭომ მიზნად დაისახა ქალთა მონაწილეობის გაზრდა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გენდერული კომპონენტების დამკვიდრება ადგილობრივ ბიუჯეტში.

დემოკრატიული ღირებულებებისა და გენდერული კვოტირების დაცვით, სხდომებმა მიიღო პერმანენტული ხასიათი. შემუშავდა სტრატეგია, გაიწერა სამუშაო გეგმა და ყოველ თვეს მიეცა მიზნობრივი დატვირთვა. თუმცა მანამდე მინდა აღვნიშნო, რომ ყოველ გადადგმულ ნაბიჯს წინ უძღოდა საგანმანათლებლო მიდგომა საკითხისადმი. გავიარეთ ტრენინგები გენდერულ საკითხებზე, გენდერულ ბიუჯეტირებაზე, სტრატეგიის შემუშავებაზე და ა. შ. გვქონდა ძალიან ნაყოფიერი გასვლითი სამუშაო შეხვედრები. საბჭოს წევრებმა შევისწავ-

ლეთ ადგილობრივი გენდერული საჭიროებები, რის საფუძველზეც შევიმუშავეთ პროექტები და წარვადგინეთ ადგილობრივ თვითმმართველობაში თანადაფინანსებისთვის.

დღიდან დაარსებისა, გვქონდა შესაძლებლობა, გაგვეკეთებინა ბიუჯეტის გენდერული ანალიზი და წლების მიხედვით შეგვედარებინა, რამდენად ხდებოდა გენდერული ასპექტების გათვალისწინება ადგილობრივ ბიუჯეტში. ბიუჯეტის ანალიზისას მომიწია ინფრასტრუქტურული პროგრამების დანახვა გენდერულ ჭრილში. საზოგადოების მხრიდან არაერთხელ მომისმენია კითხვა, თუ რამ გაყო ქალისა და მამაკაცის საჭიროებები ამ საკითხების განხილვისას. თუმცა მარტივია დანახვა იმისა, რომ გენდერულად უფრო მგრძნობიარე ბიუჯეტის შემთხვევაში პროექტები ბევრად ორიენტირებულია სოციალურად დაუცველ, მრავალშვილიან ოჯახებზე, დევნილებზე, მარტოხელა დედებსა თუ შშმ პირებზე.

საბჭოს მუშაობაში ყველაზე მნიშვნელოვან ეტაპებად მიმაჩნია კვლევების ჩატარების პერიოდი. საბჭოს წევრებმა მოვიცავით ჩვენთვის მნიშვნელოვანი ყველა სფეროს წარმომადგენლები და გამოვიყენეთ სხვადასხვა ტიპის მეთოდი: ფოკუს-ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ და გამოკითხვა სხვადასხვა სოციალური ფენისა და ჯგუფის წარმომადგენლებთან. კვლევებმა ნათლად აჩვენა, რომ გენდერული პრობლემები არსებობს თითქმის ყველა სფეროში. ინფორმაციის დეფიციტი გენდერულ საკითხებზე თვალშისაცემია. საკმაოდ საინტერესო გამოვიდა ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობა. მქონდა შესაძლებლობა, გამეგო არასამთავრობო სექტორის, ჟურნალისტებისა და სტუდენტების მიდგომა გენდერული საკითხებისადმი. ასევე მათი ინფორმირებულობის ხარისხი ადგილობრივი ბიუჯეტის თაობაზე. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და იმედისმომცემი იყო სტუდენტების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ქალთა მეტი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბევრ მგრძნობიარე თემას წამოსწევს წინა პლანზე და უბიძგებს მოქმედებისაკენ.

კვლევის შედეგად შემუშავდა რეკომენდაციები და საზოგადოების დაკვეთა გახმოვანდა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან. მათი ნაწილი აისახა ადგილობრივ ბიუჯეტში. შედეგად - 2016 წლის ბიუჯეტი გენდერულად უფრო მგრძნობიარე გახდა, ვიდრე იყო გასულ წლებში.

გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ შეასრულა ის მიზანიც, რაც ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთობლივი პროექტების განხორციელებას გულისხმობდა. ქუთაისის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ განახორციელა ოთხი ერთობლივი პროექტი ფონდი „სოხუმის“ და თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის თანადაფინანსებით. პროექტები იყო მრავალფეროვანი. ისინი მოიცავდა როგორც საგანმანათლებლო, ასევე სპორტულ საკითხებს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო სტუდენტებთან განხორციელებიული პროექტი „გენდერული ასპექტების გაძლიერება ადგილობრივი გენდერული პოლიტიკის ფორმირებაში აქტიური ჩართვისათვის“. როგორც პროექტის ასისტენტს, საშუალება მომეცა, მემუშავა ქუთაისში არსებული სამი უმაღლესი სასწავლებლის საღად მოაზროვნე სტუდენტებთან. ისინი მთელი მონდომებით ჩაერთნენ პროექტის განხორციელებაში და დაასრულეს მუშაობა ძალიან საინტერესო კონფერენციით „საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტი გენდერულ პრიზმაში - სტუდენტური მიდგომები და პრობლემების მოგვარების ეფექტური მექანიზმები“. დასაფასებელია პროექტში ჩართული ახალგაზრდების მიდგომა გენდერული თემატიკის მიმართ და მათი დამოკიდებულება დაგეგმილი აქტივობების განხორციელებისადმი. თუნდაც, ამ სტუდენტების გააქტიურება და მათ მიერ ორგანიზებულ შეხვედრებზე ახალგაზრდების ინფორმირებულობის დონის ზრდა გენდერულ საკითხებში, პროექტის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს.

აქვე, დანანებით მინდა აღვნიშნო ერთი პროექტის „გენდერული განათლება სკოლამდელ დაწესებულებებში“ განხორციელების შეფერხება, რადგან მიმაჩნია, რომ საბჭოს მიერ დაგეგმილი ტრენინგ-კურსი სასარგებლო და პრაქტიკაში გამოსადეგ უნარ-ჩვევებს შესძენდა ბაგა-ბაღების აღმზრდელებსა და მეთოდისტებს.

მონოლოგის ბოლოს სიამაყით ვიტყვი, რომ ფონდი „სოხუმის“ დახმარებით ამ ნოვატორული საქმიანობის მონაწილენი გავხდით და დღეისათვის უკვე თამამად შეგვიძლია სხვებს გავუზიაროთ გამოცდილება. ვფიქრობ, რაკი უკვე არსებობს პრეცედენტი ქუთაისის, ოზურგეთისა და სენაკის გენდერული საკონსულტაციო საბჭოების მაგალითებზე, შეუძლიათ სხვა მუნიციპალიტეტებმაც იხელმძღვანელონ და სარგებელი მოუტანონ ადგილობრივ მოსახლეობას.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნა იყო პილოტური პროექტი, რომელიც ამ დროისათვის უკვე კანონმდებლობით განისაზღვრა და მომავალი წლიდან უნდა დაინერგოს ყველა მუნიციპალიტეტში. თუ გადაჭარბებად არ ჩამეთვლება, მიმაჩნია, რომ ამ პროგრესული პრაქტიკის საერთო ეროვნული მასშტაბით დამკვიდრებას, გენდერული საკონსულტაციო საბჭოების წარმატებულმა გამოცდილებამ შეუწყო ხელი.

გვანცა მალანიას გენდერული მონოლოგი

მე გავიზარდე ძალიან თბილ, მეგობრულ და ტრადიციულ ოჯახში. სკოლაში აქტიური და ცელქი ვიყავი. ხშირად მეუბნებოდნენ, რომ ჩემს სახელს ვამართლებდი: გვანცა ცელქს, ანცს, მოუსვენარს ნიშნავს. ამავე დროს ვიყავი ძალიან გონებამახვილი და სხარტი აზროვნების ბავშვი, ამიტომაც 5 წლის ასაკში შემიყვანეს სკოლაში. კლასში ყველაზე პატარა ვიყავი, მაგრამ ინტერესიანი.

მე-10 კლასში ყოფნისას სკოლაში ფონდი „სოხუმის“ ფორუმ-თეატრი გვეწვია და მასწავლებელმა წარმოდგენების დასრულების შემდეგ გვითხრა, რომ ფონდი ლიდერი გოგონებისთვის ატარებდა შეხვედრებს.

ამ დღიდან დაიწყო ჩემი და ფონდის ურთიერთობა. მახსოვს ემოციები, როცა პირველად ფონდი „სოხუმის“ სენაკის ქალთა მხარდაჭერის ცენტრში მიმიყვანეს. იქ დამხვდა საინტერესო, თბილი ატმოსფერო. ძალადობის სხვადასხვა ფორმის წინააღმდეგ საზოგადოების ჩართვის მცდელობა თავიდან ჩემთვის უცხო ჩანდა. შეხვედრებზე სისტემატური დასწრებით მივხვდი, რაოდენ დიდი პრობლემის მოგვარებისთვის იღვწიან ფონდის წარმომადგენელი ქალბატონები.

მოკლედ რომ ვთქვა, ფონდის შეხვედრებზე აქტიურად დავდიოდი სტუდენტობამდე და იქ გავიზარდე კიდეც. ჩემი წარმატებებიც ფონდ „სოხუმთან“ და მწვანეებთან (საქართველოს მწვანეთა მოძრაობა) თანამშრომლობამ განაპირობა.

შემდეგ იყო სტუდენტობა. თბილისის უნივერსიტეტში სხვადასხვა სახის ღონისძიებებში ვღებულობდი მონაწილეობას. როცა ამას ვიხსენებ, ვხვდები, თუ როგორ გამომადგა ფონდში მიღებული ცოდნა და გამოცდილება. უნივერსიტეტში სწავლის დროსაც არ გამიწყვეტია ფონდელებთან ურთიერთობა. ჩემი ასეთი აქტიურობის შედეგად, მუშაობა დავიწყე ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრში, ვიყავი ლიდერი და ფასილატატორი. კიდევ უფრო გაფართოვდა და გამდიდრდა ჩემი ცოდნა გენდერული თანასწორობის საკითხებზე. როგორც საუკეთესო ლიდერს, გადმომცეს სერთიფიკატი.

შემდეგ სენაკში დავბრუნდი. ისევ გავაგრძელე თანამშრომლობა ქალთა მხარდაჭერის ცენტრთან, ვარ ამომრჩეველ ქალთა კლუბის წევრი. ერთ დღესაც მოვხვდი სენაკის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოში. ეს ჩემთვის დიდი სიახლე და მუხტის მომცემი იყო.

მახსოვს ჩვენი დიდი პროექტი „სამოქალაქო განათლება გენდერული თანასწორობისა და ჯანსაღი გარემოსათვის სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანებაში.“ საბჭოს ყველა წევრი ჩართული იყო პროექტში, მათ შორის მეც. საბავშვო ბაღებში უნდა ჩაგვეტარებინა ვორკშოპები გენდერული თანასწორობის, ოჯახში ძალადობის და ეკოსანიტარიის საკითხებზე.

რატომღაც პირველი ვორკშოპის ჩატარება მე მომიწია. სენაკის №1 ბაგა-ბაღის აუდიტორია სავსე იყო პედაგოგებით და მშობლებით. უკვე ტრენერობის საკმაო გამოცდილება მქონდა, მაგრამ როცა დავინახე მოტივირებული ადამიანების მოლოდინით სავსე თვალები, ნერვიულობამ ამიტანა, შევშინდი და ვნატრობდი, რომ ყველაფერი კარგად დასრულებულიყო.

მისმენდნენ გულისყურით, იწერდნენ და ინიშნავდნენ მათთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. თითოეული მონაწილისგან დიდი სითბო მოდიოდა. ყველა მათგანი აქტიურად ჩაერთო. პატარა ინსცენირებაც მოვაწყვეთ ოჯახში ძალადობაზე. ძალიან საინტერესო გამოვიდა. მახსოვს, სასესიო დროსაც გადავცდით.

ასე ვატარებდით საბჭოს წევრები ვორკშოპებს სხვადასხვა საბავშვო ბაღში. როცა შეფასების კითხვარებს ვკითხულობდი, არ დამავიწყდება ის სიტყვები, რომლებითაც გვაფასებდნენ მონაწილეები, ის კმაყოფილება და დეტალები, რაც მათ თვალს არ გამოპარვია. მათი შეფასება ობიექტური იყო. პროექტი მართლაც წარმატებით დამთავრდა. ეს იყო პირველი არაფორმალური განათლების მიღების საშუალება. პირველი და ხმამაღალი სიტყვა ტაბუდადებულ თემებზე. ადრესატამდე სწორად მიტანილი და გაგებული. ამ მუშაობით დაიწყო და საფუძველი მიეცა სხვა პროექტების შემუშავებას, რომლებიც სენაკის გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ განახორციელა.

გენდერულ საბჭოზე და ფონდ „სოხუმზე“ უამრავი რამის თქმა შემიძლია. რომელი ერთი გავიხსენო - ტრენინგები გენდერულ საკითხებზე, მონაწილეობა გენდერული საჭიროებების კვლევაში, ქსელური შეხვედრები, უამრავი ადამიანის გაცნობა. გამოცდილებას გამოცდილებას ვამატებდი. პრაქტიკაში განვახორციელე ყველაფერი, რაც კი თეორიულად მისწავლია.

ფონდში თავს ვგრძნობ, როგორც ოჯახში. ყველას გეპატიჟებით ჩვენს დიდ და ლამაზ ოჯახში, რომელიც კარგი საქმეების კეთებით არის დაკავებული. მთავარი ამოცანა ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვაა. ფონდი „სოხუმი“ ზრდის ლიდერებს, ხელს უწყობს ახალგაზრდებს განვითარებაში, ცოდნის მიღებაში, საკუთარი თავის რეალიზებაში. ამის წარმატებულ მაგალითად შემიძლია საკუთარი თავი დავასახელო.

ეკა ნინიძის გენდერული მონოლოგი

ჟურნალის რედაქტორისგან, ლალი შენგელიასგან მეილი მივიღე, ჩემი გენდერული მონოლოგი სჭირდებოდა. დავფიქრდი, მქონდა კი სათქმელი დაგროვილი, ან რაც მქონდა დაგროვილი, იყო კი ის სიტყვა საზოგადოებამდე მისატანი?

ვინ ვარ? ქართველი ვარ, კოსმოპოლიტიც ვარ რაღაც დოზით და ალტრუისტიც, მოხალისეც და უბრალოდ მუდმივად სიახლის მაძიებელი. ერთფეროვნება არასდროს მიყვარდა და არც დიდხანს შემიძლია ერთ ადგილას გაჩერება.

1991 წელს დავასრულე ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლა და დიდ ჟურნალისტიკაში გადავწყვიტე ჩემი ადგილის დამკვიდრება. ვმუშაობდი გაზეთებში „ქართული კულტურა“, „დილის გაზეთი“, „ახალი ქართული გაზეთი“, „ახალი შვიდი დღე“ - კორესპონდენტად. საინტერესო პერიოდი იყო. 90-იანი წლები იდგა საქართველოში. ქვეყანა ურთულეს გზას გადიოდა და ჩემ თვალწინ ძალიან ბევრი მოვლენა იცვლებოდა.

„ომი არასდროს გენახოთო,“ - გვლოცავდნენ უფროსები მთელი ბავშვობის მანძილზე და ზედიზედ სამი ომის მომსწრენი გავხდით. ჩვენს თვალწინ იკარგებოდა ტერიტორიები და იმსხვრეოდნენ კერპები. იცვლებოდნენ მთავრობები და ხელისუფალნი, ხდებოდა რევოლუცია, თუმცა ვარდების, მაგრამ მაინც რევოლუცია.

ვარდების რევოლუციამ სკოლის მასწავლებლის ამპლუაში მომისწრო. სკოლა ის ადგილია, სადაც კარგი საქმის კეთებისთვის ფართო არეალი გაქვს, სადაც ყველაზე სუფთა და პოზიტიური ენერგიით ივსები. სწორედ მასწავლებლობიდან იწყება ჩემი ცხოვრების ყველაზე საინტერესო პერიოდი.

2009 წლის ზაფხულში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადდა მიღება პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“. პროგრამა მაღალმთიანი და ასევე იმ რეგიონებისთვის, სადაც მასწავლებლის დეფიციტია, პროფესიული კადრების მობილიზაციას გულისხმობდა. პირველივე წლიდან ვარ ამ პროგრამის მონაწილე. ვასწავლიდი ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხეთის საჯარო სკოლაში და შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ პაპოშვილების საჯარო სკოლაში. 2014 წლამდე დავრჩი პროგრამაში. ეს იყო ყველაზე საინტერესო პერიოდი. ყოველდღიური სიახლეებით დატვირთული და გამოწვევებით სავსე.

ხან რაჭველი და ხანაც აჭარელი ვიყავიმეთქი, ვიცინი ხშირად, საქართველოს ყველა კუთხეში მაქვს დატოვებული ჩემი ნაკვალევიცმეთქი, არაერთხელ მითქვამს.

პირველად ზემო აჭარაში რომ ავედი, საოცრად მოწყენილი და უსახური მეჩვენა სკოლა, სადაც უნდა მემუშავა. არ იყო ბიბლიოთეკა, ბავშვებს არ ჰქონდათ თავისუფალი დროის გასატარებელი ადგილი. სოციალური ქსელის, მეგობრების, უბრალოდ კეთილი ადამიანების და პროგრამა „ასწავლე საქართველოსთვის“ ძლიერი გუნდის დახმარებით სოფელ პაპოშვილების სკოლას დავუტოვე ბიბლიოთეკა, რომელშიც უკვე 3000 წიგნზე მეტი ინახება და კინოკლუბი „ცისფერი ყვავილი“.

ჩემ მშობლიურ ოზურგეთში 2014 წელს დავბრუნდი, მას შემდეგ, რაც ოზურგეთი თვითმმართველი ქალაქი გახდა და პირველად მოხდა თვითმმართველობის არჩევა.

ოზურგეთში დაბრუნების შემდეგ ერთდროულად მოხდა ჩემი გენდერულ საკონსულტაციო საბჭოში გაწევრიანება და ა.(ა).ი.პ. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის დირექტორად ჩემი დანიშვნა.

სწორედ გენდერულმა საკონსულტაციო საბჭომ მომცა საშუალება არაერთი იდეის განხორციელებისა. ინტესიურად ვმუშაობთ ახალგაზრდებთან, ახალგაზრდებში გენდერული პოლიტიკის დანერგვისათვის. ვეხმარებით ონკოპაციენტებს, ვუწევთ მათ ფსიქოლოგიურ დახმარებას. ვეხმარებით დაინტერესებულ პირებს გადამზადებაში და არაფორმალური განათლების მიღებაში. არაერთი პროექტი განხორციელებულა ოზურგეთის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს ჩართულობით. არაერთ პროექტზე გვითენებია ღამეები და ჩანაფიქრი სისრულეში მოგვიყვანია. ასეთი იყო თუნდაც „აქტიური ქალები - უკეთესი მომავლისათვის“. ამ პროექტის ფარგლებში ოზურგეთელი ქალბატონებისთვის სააღდგომო პასკის ფესტივალი ჩატარდა. ასევე თავზე დათენებული ღამეების შედეგია ის, რომ ფონდის „სოხუმის“

და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ოზურგეთს ძალიან მალე ექნება ფორუმ-თეატრი.

გეგმა კიდევ ბევრია, უბრალოდ, მომავალზე სჯობს მომავალში ვისაუბროთ. ცხოვრება იმითაა საინტერესო, რომ ახალ-ახალი გამოწვევებითაა სავსე. მუდამ სიხარულით ვიღებ ამ გამოწვევებს და ვცდილობ, ჩემი ნიშა არასდროს დავკარგო.

სულ ეს იყო ჩემი გენდერული მონოლოგი. პატარა სათქმელი მეც დამგროვებია და ვეცადე, მიმეტანა მკითხველამდე. წუთით მაინც დავბრუნდი იქ, შორეთში, ბავშვობაში... იქ, სადაც ჩემი სამომავლო გეგმები იჭედებოდა.

ინგა ქარდავას გენდერული მონოლოგი

დავიბადე 1974 წლის 26 მაისს, ქალაქ ჯვარში. სკოლის დამთავრების შემდგომ ჩავირიცხე სოხუმის ჰუმანიტარულ-ეკონომიკური ინსტიტუტის ინგლისური ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ყველაზე დიდი სიყვარული და ყველაზე დიდი ტკივილი სოხუმს უკავშირდება. სიყვარული იქ გატარებული სტუდენტური წლების და ტკივილი ამ ტერიტორიის დაკარგვის.

ყოველთვის ვიყავი თავისუფალი, აქტიური და წარმატებული ოჯახურ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში.

1997 წელს სენაკის მუნიციპალიტეტში ვიპოვე ჩემი ცხოვრების მეგზური, რომელიც გვერდში მედგა, მამხნევებდა და მასწავლიდა ბრძოლას უსამართლობის წინააღმდეგ, ბიძგს მაძლევდა საზოგადოებაში ჩემი ადგილის დასამკვიდრებლად. დიდი ეკლიანი გზა გამოვიარე, მომიწია ბევრი წინააღმდეგობის დაძლევა. ვმუშაობდი ნოსირის სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, შემდგომ კერძო სკოლა „აისის“ სასწავლო ნაწილის გამგედ, არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობა უკანონო პატიმრების“ სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ხელმძღვანელად. ვიყავი საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი, ვარ არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალები მშვიდობისა და სამართლიანობისათვის“ ქალთა კავშირის დამფუძნებელი.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად გავხდი სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და დღეს სენაკის საკრებულოს ფრაქცია „თავისუფალი არჩევანის“ თავმჯდომარე ვარ. ასევე ვარ სენაკის საკრებულოსთან არსებული გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრი, რომელსაც კურირებს ფონდი „სოხუმი“. ამ ორგანიზაციის დამსახურებაა ის მიღწევები, გენდერული თანასწორობისა და ოჯახური ძალადობის კუთხით რომ ხორციელდება სენაკის, ოზურგეთის, ქუთაისის და ბათუმის მუნიციპალიტეტებში.

სანამ ამ საბჭოს წევრი გავხდებოდი, იქამდეც მიწევდა ბრძოლა ჩემი სიმართლისა და უმწეო ადამიანების უფლებებისათვის. ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებამ და ტრენინგების შედეგად მიღებულმა ცოდნამ დიდი სტიმული და გამოცდილება მომცა გენდერული კუთხით. ყველაზე კარგად მახსოვს ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ბორჯომში, ფონდი „სოხუმის“ მიერ ორგანიზებული ტრენინგი. ბევრი რამ გავიგე იმ ტრენინგზე. სენაკში ჩამოსვლას დაემთხვა ერთ-ერთ ოჯახში ძალადობის ფაქტი. დამცავი და შემაკავებელი ორდერების შესახებ ავუხსენი ოჯახის წევრებს. ამის შემდეგ მოძალადე საერთოდ შეიცვალა და დღეს მას ბედნიერი ოჯახი აქვს.

გენდერული საკონსულტაციო საბჭოს წევრებთან ერთად მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრაში, ვორკშოპებზე. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო გენდერული საჭიროებების კვლევა, რამაც დაგვანახა საზოგადოებაში ცნობიერების დაბალი დონე. ამის გამო შევიმუშავეთ პროექტი და ჩავატარეთ ვორკშოპები გენდერულ საკითხებზე საბავშვო ბაღების თანამშრომლებისა და აღსაზრდელების მშობლებისთვის. ფონდი „სოხუმის“ და ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით სენაკის 14 თემში შეიქმნა გენდერული საბჭოები.

ასეთი ღონისძიებების გატარების შემდგომ შეიცვალა ადამიანების დამოკიდებულება გენდერული საკითხების მიმართ, სენაკის ბიუჯეტი გახდა გენდერულად მგრძნობიარე.

ფონდმა „სოხუმმა“ საფუძველი ჩაუყარა საკრებულოებში გენდერული საკონსულტაციო საბჭოების შექმნას. სახელმწიფო დონეზე გენდერული საბჭოების ჩამოყალიბების გადაწყვეტილებაც სწორედ ყველა ჩვენგანის ერთობლივი მუშაობის შედეგია.

ეკა შალამბერიძის გენდერული მონოლოგი

როდესაც გენდერული მონოლოგის შესახებ სტატიის მომზადება მთხოვეს, უკვე ვიცოდი, როგორ უნდა დამეწყო თხრობა ამის შესახებ, რადგან ჩემი ურთიერთობა ფონდ „სოხუმთან“ წლებია, ჩემი ცხოვრების ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტზე გადის.

ჩემი ჟურნალისტური კარიერა 7 წლის წინ დაიწყო. ერთ-ერთ ადგილობრივ ტელევიზიაში გამოუცდელი გოგო დიპლომით და პროფესიის დაუფლების სურვილით მივედი. კონკურსის წესით შემარჩიეს და რამდენიმე დღეში პირველი რეპორტაჟის მომზადების დავალებაც მივიღე. ოპერატორთან ერთად პროფესიული მოვალეობის შესასრულებლად წავედი და დანიშნულების ობიექტი კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი „სოხუმი“ იყო. ერთ-ერთ საკონფერენციო დარბაზში ორგანიზაციას გაფართოებული სხდომა ჰქონდა. დღეს უკვე ჩემთვის კარგად ნაცნობი და საყვარელი, მაშინ კი სრულიად უცხო ადამიანები იყვნენ ის პოტენციური პირველი რესპონდენტები, რომელთა მეშვეობითაც ჩემი, როგორც კორესპონდენტის, ნათლობა უნდა შემდგარიყო.

მახსოვს, როგორ ვუსმენდი ყველა გამომსვლელს გაფაციცებით, რომ სწორად შემერჩია, ვისთან უფრო უპრიანი იქნებოდა ინტერვიუს ჩაწერა. როცა არჩევანში ჩამოვყალიბდი, რესპონდენტთან დასასმელ შეკითხვას გულში გაბმულად ვიმეორებდი. არ ვიცი, რამდენად დამეტყო ეს ინტერვიუ დროს, მაგრამ საბოლოოდ მოხდა ის, რომ ჩემი, როგორც ჟურნალისტის, ურთიერთობა ადამიანებთან, კამერასთან, მიკროფონთან ფონდი „სოხუმით“ დაიწყო და მას შემდეგ ეს ორგანიზაცია ერთ-ერთია მათ შორის, ვისთანაც ყველაზე აქტიურად ვთანამშრომლობ.

ფონდთან მაკავშირებს ასევე მეორე მნიშვნელოვანი ასპექტი - გენდერის არსის სწორად გაგება. გამოგიტყდებით და თავდაპირველად ორგანიზაციის გამუდმებული აქცენტი გენდერის რაობასა და მნიშვნელობაზე ცოტა გადაჭარბებულადაც კი მეჩვენებოდა, მაგრამ დროდადრო დისკუსიებით, პრაქტიკული და თეორიული მაგალითებით, შეხვედრებით, ტრენინგებით, ტერმინი „გენდერი“ იმდენად სენსიტიური და საჭირო თემა გახდა ჩემთვის, რომ გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ფორმირების აუცილებლობაც ვირწმუნე და ამავე ფორმულირებით არაერთი შეკითხვა დამისვამს ქალაქის ხელმძღვანელობასთან.

გენდერულ საკონსულტაციო საბჭოსთან დაარსების დღიდან აქტიურად ვთანამშრომლობ. ბევრი კარგი ინიციატივა და რეკომენდაცია, რომელიც საბჭოს მიერ იქნა მომზადებული, ხშირად განმიხილავს ქალაქის ხელმძღვანელ პირებთან და კარგია, რომ საბჭოს რეკომენდაციების მნიშვნელობას ისინიც აღიარებენ.

ზოგადად ამა თუ იმ თემაზე ინტერვიუს წარმოებისას ჟურნალისტისთვის მნიშვნელოვანია საკითხის სიღრმისეული ცოდნა, ამიტომ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრებზე აქტიური დასწრებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები მეც იმდენად კარგად გამიჯდა ცნობიერებაში, რომ იგივე თემებზე მომზადებული ჩემს სიუჟეტებზეც, ვფიქრობ, დადებითად აისახება.

გენდერის სწორად გაგება და გააზრება სხვა მრავალ საკითხთან ერთად ძალადობის პრევენციაზეც გადის. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ფონდის აქტიური მუშაობა ამ კუთხით და ჩემი ნაყოფიერი თანამშრომლობა ორგანიზაციასთან. ფონდის მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში მე მოვამზადე რეპორტაჟი ძალადობის თემაზე. მახსოვს, ამ რეპორტაჟზე მუშაობისას თავად ორგანიზაციის წარმომადგენლების მოცემული სწორი მითითებები რამდენად წამადგა საინტერესო პროდუქტის მისაღებად - ემა კამკიას სწორი აქცენტები, ლალი შენგელიას საინტერესო ინტერვიუ და მთავარი გმირის - ერთ-ერთი თავშესაფრის ბენეფიციარის - მონათხრობი შეულამაზებელი ისტორია კომპეტენტურმა ჟიურიმ მოიწონა და პრიზიც მივიღე.

ბუნებრივია, რომ ყოველი ადამიანი და, მით უფრო ჟურნალისტი, არის ინფორმაციის გამავრცელებელი წყარო, შესაბამისად,

ვფიქრობ, არსებითი მნიშვნელობა აქვს, რამდენად სწორად აწვდი აზრს ადამიანს, რომელიც ამავე ინფორმაციის პოტენციური გადამტანია. მე ხშირად ვაკეთებ ქუჩის გამოკითხვებს ამა თუ იმ თემაზე და განსაკუთრებით სწორედ გენდერის მიმართულებით ხალხის პროგრესული განწყობა მახარებს, რაც წინა წლებთან შედარებით თვალშისაცემია. მიმაჩნია და ვფიქრობ სწორადაც, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით ადგილობრივ დონეზე ფონდი „სოხუმის“ წვლილი მნიშვნელოვანია, ორგანიზაციიდან მიღებული ცოდნის მეშვეობით გენდერის თემაზე ჩემს მიერ დასმული შეკითხვებიც გაცილებით ადეკვატური და მოქნილი გახდა. ბოლო დროს უფრო ნაკლებად მიწევს ახსნა, რას ვგულისხმობ, როდესაც მოქალაქეებს ვეკითხები მათ მოსაზრებას გენდერის მნიშვნელობაზე ყველა ასპექტში.

მახსენდება ასეთი შემთხვევაც: როდესაც ამ თემაზე გამოკითხვას ვაწარმოებდი, ერთ-ერთმა რესპონდენტმა საკუთარი პოზიცია ქალისა და მამაკაცის თანასწორუფლებიანობაზე, ძალადობის დაგმობაზე, დუმილის დაუშვებლობაზე ზედმიწევნით კარგად ჩამოაყალიბა და იქვე არასაეთეროდ მომიყვა, რომ თემით ერთ-ერთი აქციის მერე დაინტერესდა, რომელსაც ქალაქის ცენტრში, 25 ნოემბერს ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღეს შემთხვევით შეესწრო. დამისახელა აქციის ორგანიზატორიც - ფონდი „სოხუმი“ და აღნიშნა, რომ აქციის სლოგანები გულზე მოხვდა და სწორედ მაშინ გააანალიზა, რომ ძალადობის ფაქტზე დუმილიც არანაკლებ დანაშაულია. თქვა ისიც, რომ მალე სამწუხარო ფაქტს შეესწრო მეზობელი მამაკაცის მიერ ცოლთან ფიზიკური ძალადობის ფაქტზე და პოლიციას აცნობა, რის გამოც მშობლებისგან დაიტუქსა კიდეც.

ეს შემთხვევა შეიძლება მივიჩნიოთ კარგ მაგალითად იმისა, რომ პრობლემა საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ ახალგაზრდები საკითხს უფრო პროგრესულად უყურებენ. ეს მაგალითი, სადაც ერთ ოჯახში, სადაც გოგონამ დუმილი მიიჩნია დანაშაულად, ოჯახის უფროსმა წევრებმა კი - დუმილის დარღვევა, მეტყველებს იმაზე, რომ ფონდი „სოხუმის“ მრავალწლიანი მუშაობა ნაყოფიერია თანასწორუფლებიანობისთვის, განსაკუთრებით მომავალი თაობის სწორი ჩამოყალიბების გარანტია.

საინტერესოდ მახსენდება ოზურგეთის გენდერის მედიაცენტრის და ფონდი „სოხუმის“ ორგანიზებით გასულ წელს ოზურგეთში ჟურნალისტებისთვის მოწყობილი ტრენინგი გენდერულ ბიუჯეტზე. ამ შინაარსის არაერთ ტრენინგზე ვყოფილვარ, მაგრამ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო მათ შორის, სწორად შერჩეული ტრენერებით, აქტიური მონაწილეებით. მივიღეთ ის, რომ სემინარი საოცრად ნაყოფიერი აღმოჩნდა. მთელი დღის განმავლობაში წუთით არ გამოვთიშულვარ ტრენინგის მსვლელობას, ვიყავი მაქსიმალურად ჩართული. ტრენინგის ბოლოს მოწვეული იყო საკრებულოს დეპუტატი ლალი სიჭინავა. მან ჯანმრთელობის უმძიმესი პრობლემები გაირა წარსულში, მაგრამ არ დანებდა და მერე ოზურგეთის გენდერულ საბჭოსთან ერთად თავად განახორციელა პროექტი „კიბო განაჩენი არ არის“. ეს იყო თვითმმართველობის მხრიდან ბიუჯეტის გენდერული განაწილების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი.

მინდა ასევე აღვნიშნო ქუთაისის გენდერული საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციები გენდერულ საჭიროებებზე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. თავადაც ბაღის ასაკის შვილი მყავს და ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები ხელისუფლების მხრიდან, რაც უკვე განხორციელდა და დაიგეგმა სწორედ გენდერული საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე.

აქტიურად ვადევნებდი თვალყურს და ვაშუქებდი საბჭოს პროექტს, როდესაც ქალაქის ბაგა-ბაღების პერსონალს და ადმინისტრაციას საბჭოს წევრები გენდერის თემაზე ვორკშოპებს უტარებდნენ. ბევრ აღმზრდელს ჯერ კიდევ სწორად არა აქვს გააზრებული გენდერის არსი, არადა სწორედ ისინი ქმნიან იმ გარემოს, სადაც პატარების ფსიქოლოგია ყალიბდება. მე ამ ვორკშოპებს თავიდან ბოლომდე ვესწრებოდი და, სასიხარულოდ მინდა ვთქვა, რომ ბოლოს მონაწილეების ლოგიკა, პოზიცია, ცნობიერება გაცილებით ადეკვატური ხებოდა. ეს საკონსულტაციო საბჭოს და მწვრთნელის კარგი მუშაობის შედეგი იყო. ის კი არა, სწორედ ამ ვორკშოპების შედეგად მეც, როგორც მშობელმა, პირველად გავაანალიზე და გავაცნობიერე ბაღებში თუნდაც გენდერულად გათვალისწინებული საპირფარეშოების არსებობის აუცილებლობა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ სწორედ საბჭოს რეკომენდაცით მოხდა ქალაქში ორი ახალი საბავშვო ბაღის აშენება გენდერული ტიპის საპირფარეშოებით, ბაღებში ორი ცვლის დაწესება, კორექტივების შეტანა მენიუში.

წინ კიდევ ბევრი ახალი და პროგრესული იდეაა. იმედს ვიტოვებ, ფონდ „სოხუმთან“ ერთად ჩემი პირველი ნაბიჯებით დაწყებული სვლა კიდევ დიდხანს გაგრძელდება და ჩემი ობიექტივი ორგანიზაციის არაერთ მნიშვნელოვან აქტივობას ისტორიად აქცევს.

გიორგი გირკელიძის გენდერული მონოლოგი

გენდერული თანასწორობის ქსელი, ჟურნალისტთა ქსელი გენდერული თანასწორობისთვის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკონსულტაციო საბჭო, ფონდი „სოხუმი“ და გენდერის მედიაცენტრი (საქართველოს 8 ქალაქში) - სწორედ ამ ორგანიზაციების დახმარებით დავიწყე გენდერის საკითხებზე სტატიების, ახალი ამბების და ვიდეოების გაკეთება.

2002 წელს გაზეთ „გურია ნიუსის“ მიერ დაფუძნებულ გურიის ახალგაზრდულ გაზეთში „21-ს ქვევით“ დავიწყე მუშაობა. შემდეგ „გურია ნიუსის“ კორესპონდენტი გავხდი. ხშირად დავდიოდი ტრენინგებზე - ოღონდ გენდერთან დაკავშირებით იმ დროს არც ისე ხშირად ტარდებოდა ტრენინგ-სემინარები.

2011 წლიდან ჯერ ლადო მკერვალიშვილის (ექსპერტი და მწვრთნელი) ორგანიზებულ ტრენინგზე მოვხვდი, ეს იყო ჩემს ცხოვრებაში პირველი ტრენინგ-კურსი გენდერთან დაკავშირებით. შემდეგ კი იყო ბაკურიანი, ქალბატონმა მანანა მებუკემ (თავმჯდომარე არასამთავრობო ორგანიზაციისა „ინვალიდ მეომართა და დაღუპულ მებრძოლთა მეუღლეთა კავშირის“) მედიის წარმომადგენლები შეკრიბა და ხუთდღიან კურსზე ექსპერტებმა ბევრი საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდეს.

2013 წელს კი ფონდმა „სოხუმმა“ ოზურგეთში გენდერული საკონსულტაციო საბჭო შექმნა. საბჭოში საკრებულოს დეპუტატები, არასამთავრობო ორგანიზაციის და მედიის წარმომადგენლები მოხვდნენ. რატომღაც ამ გუნდში მე არ ვიყავი. შეიძლება ცოტა ამბიციურად გამომდის, მაგრამ... მოკლედ, არც ისე დიდი პოლემიკისა და მოთხოვნის შემდეგ საბჭოს წევრი გავხდი.

ეს ის პერიოდია, როცა პარალელურად უკვე ვარ ჟურნალისტთა ქსელში გენდერული თანასწორობისთვის. ეს ქსელი ძალიან აქტიურად მუშაობს გენდერულ საკითხებზე. უკვე საქართველოს 8 ქალაქში არსებობს გენდერის მედიაცენტრი და იმართება საინფორმაციო შეხვედრები. ოზურგეთში ასევე გაიმართა ახალგაზრდებისთვის და სკოლის მოსწავლეებისთვის რამდენიმე ტრენინგი.

ახლა რაც შეეხება ოზურგეთის გენდერულ საკონსულტაციო საბჭოს - სამი წლის განმავლობაში არაერთ ტრენინგში და პროექტში მივიღე მონაწილეობა.

ყველაზე მეტად გამოვყოფდი ახალგაზრდულ პროექტს. ამ პროექტის ფარგლებში ჩაგვიტარდა ტრენინგი და საბჭოს წევრები თავად გავხდით მწვრთნელები. სკოლის მოსწავლეებისთვის გენდერის საკითხებზე მე და ჩემმა კოლეგამ ნინო ნიკოლაიშვილმა არაერთი შეხვედრა გავმართეთ. სკოლის მოსწავლეებს ტრენინგებს ვუტარებდით. ტრენინგების სერიის დასასრულს გაიმართა ახალგაზრდული ფორუმი და განსაკუთრებით აქტიური მოსწავლეებისგან შეიქმნა ახალგაზრდული საკრებულო, რომელიც საკმაოდ საინტერესოდ მუშაობს.

ასევე გამოვყოფდი გენდერული საჭიროებების კვლევას ოზურგეთსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში. ამ დროს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს ვხვდებოდით და ვიგებდით მათი პრობლემების შესახებ, რის შემდეგ რეკომენდაციებით მივმართავდით ოზურგეთის და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობას. რეკომენდაციების დიდ ნაწილს ბიუჯეტის შედგენის დროს ითვალისწინებდნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

და კიდევ ერთი აქტივობის შესახებ - პირველად ოზურგეთში გაიმართა გენდერული ბიუჯეტის შესახებ ტრენინგი ქუთაისელი და ოზურგეთელი ჟურნალისტებისთვის. ტრენინგის ორგანიზატორები იყვნენ ფონდი „სოხუმი“ და ოზურგეთის გენდერის მედიაცენტრი. გენდერულ ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხებზე ტრენინგი საინტერესოდ ჩაატარეს „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“ იურისტებმა ლევან ხინთიბიძემ და ირაკლი პაპავამ.

რაც შეეხება ჩემს ჟურნალისტურ მუშაობას, ახლა უფრო მეტად ვწერ იმაზე, რამდენად მნიშვნელოვანია ქალის როლის გაძლიერება პოლიტიკაში. ვწერ გენდერულ სტერეოტიპებზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე, ნაადრევ ქორწინებაზე და უამრავ გენდერულ / სოციალურ საკითხზე. ვწერ საინტერესო, ცნობილ თუ უცნობ ქალებზე, პოლიტიკოსებზე. გენდერის მედიაცენტრის ბლოგიც ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციას და სტატიას აქვეყნებს და ამას მე ვუწევ ორგანიზებას. ბოლო წლებში მონაწილეობა მივიღე სხვადასხვა კონკურსში გენდერული კუთხით და წარმატებასაც მივაღწიე.

ეს არის მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ გავხდი უფრო გენდერული და როგორ გახდა ჩემი სტატიები უფრო სოციალური და უფრო მრავალფეროვანი.

2013-2016

მენდენჯული

საკონსულტაციო საბჭოები

ქალაქი

ოზურგეთი

სენაკი

www.gac.fsokhumi.ge

2016